წლიწადი მესამე ფასი 7 კაპ. შაბათი, 25 თებერვალი, 1917 წ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 44 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 44

გაზეთი
„საქართველო"
ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:
მთელის წლით—15 მ., ½ წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.
წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).
კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.
1 მარტიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქართვ." ეღირება 12 მ.—50 კ.
ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.
რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო".

22-ს ამა თებერვალს უდროოდ გარდაიცვალა ქ. ქუთაისში ქუთაისის კლასიკურის გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფე

## გიორგი სპირიდონის ძე
## კიკნაძე

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს გულდამწვარი მშობლები მამა—სპირიდონ ანტონის ძე და დედა სოფიო კონსტანტინეს ასული კიკნაძენი, დები: კატუშა, ანიკო და ელენა; ბიძა მისი დიანოსი ანტონის ძე და ძალუა მისი ევდოკია კიკნაძენი შვილებითურთ, ბიძები: ივანე და ზაალი კონსტანტინეს ძენი ორჯონიკიძენი ოჯახობით, დედის დედა ანნა ზაქარიას ასული ორჯონიკიძისა, დეიდები: ქეთევან კონსტანტინეს ასული რაზმაძისა და მარიამ კონსტანტინეს ასული ნემსაძისა, დედის დის ქმარი იოსებ კირილეს ძე რაზმაძე და დეიდაშვილები: ტასიკო ნემსაძის ასული, გოგლიკა და მედიკა რაზმაძენი.

დაკრძალვა მოხდება სოფელს ზელაგორში (შორაპნის მაზრა) 26 თებერვალს დღის თორმეტ საათზე. (2-544-2)

იოსებ გრიგოლის ძე რომანიშვილი შვილითურთ და სოფიო გრიგორის ასული და ანდრია იულონის ძე დგებუაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველნი ცოლის და დედის, ხოლო მეორენი რძლის

## მარიამ გიორგის ასულ
## რომანიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას, სოფელ კავთისხევში (ჩივაანთ-უბანში).

დაკრძალვა მოხდება კვირას, 26 თებერვალს, იმავე სოფელში. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე. (1—545—1)

ხარფუხის საზოგადო კლუბის
მამასახლისთა საბჭომ დაადგინა:
ნიკო გოცირიძის 20 წლის სცენაზედ მოღვაწეობის აღსანიშნავად, გაუმართოს 26 თებერვალს, 1917 წ., საიუბილეო დღესასწაული და წარმოდგენა კლუბის დარბაზში.
წარმოდგენილი იქნება მოლიერის კომედია
ტარტიუფი ანუ მუზმუზელა
ნ. გოცირიძის მონაწილეობით, ორგანის როლში.
(2—593—1)

ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)
შაბათს, 25 თებერვალს,
რუსულ არტისტთა ამხანაგობის მიერ რუსულათ წარმოდგენილი იქნება
I
„ქვირფასი კოცნა"
ვოდევილი 1 მოქ.
II
ქალის ცნობის მოყვარეობა
ანუ
ადამ და ევა
ოპერეტა 2 მოქ.
სტუმრები საზოგადო წესით. ✦ დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.
წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

შამპიანი
და
საჭმლისათვის ღვინისქვის სიმჟავე
ისყიდება
„კავკასია'ში ტეხნო-ქიმიურ წარმოებათა ამხანაგობაში".
თბილისი, დიდუბე, ქუთაისის ქ. 2.
5—538—2)

ვასწავლი
ქართულ სიმღერა-გალობას
და
ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს დიდ და მუდმივ სახალხო გუნდისათვის.
მიღება და ჩაწერა
კავსაძესთან
მისამართი: ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესია.
სამშაბათობით, პარასკეობით და კვირაობით
საღამოს 6—9 ს.-დე.
ვასწავლი მუშა ხალხსაც

ექიმი კბილისა
ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ... ლას ქ. № 3

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914" და „606"
შეშხაპუნება

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნო ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმმა
ზ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ
საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ერთად-ერთი სამხატვრო-სალიტერატურო—სათეატრო სურათებიანი კვირეული ჟურნალი
თეატრი და ცხოვრება
(წელიწადი მეხუთე)
№ 9 შინაარსი:
1, მეთაური—საკუთარ ჭკუით. საკუთარ ფეხზე (წ.-კ. ს. კ. გამო)
2, დ. მესხი—ახირებული დღიური.
3, ი. გომართელი—I კლასის კუპე.
4, სოფ მგალობლიშვილი—ქართ. ეკლესია და სამღვდ.
5, დ. კილოსანიძე—სიმარ. წყურ.
6, ა. ბერეკიშვილი—ყოველი ჩემთვ.
7, მეგობარი—მებრძოლი გლეხი.
8, კ. ძიძაძე—შენ!
9, ბ. გორდეზიანი—წუთი სოფ.
10, მ. ბოჭორიშვილი—ვნების ბრჭყალებში (მე-4-ე მოქ.)
11, შ მოლაშვილი—ფარული სევდა.
12, ვანო ბარველი—* * *
13, ილო—„ვიშ! ქა!"
14, ე. კ—ი—დროა გონს მოვიდეთ.
თითო ნომერი 15 კ. მიიღება 1917 წ. ხელის მოწერა. წლიურად ორი პრემიით 8 მ., ნახევარი წლით—4 მ. 50 კ., ხელის მოწერა შეიძლება „სორაპნის" სტამბაში, თბილისში, მადათოვის კუნძულზე, № 1. ფოსტით—Тифлисъ,
Ред. „Театри да Цховреба"—Іос. Имедашвили.
შენიშვნა: ჟურნალი ყველა ხელისმომწერს უკლებლივ ეგზავნება. ვისაც № დააკლდეს, დაუყოვნებლივ აცნობოს რედაქციას.

## ქუთაისის ბანკის არჩევნები

დადგა ქუთაისის საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა არჩევის დრო. ქუთაისის ძველი ზნე და ჩვეულება, თქმა არ უნდა, მთელის თავის ტრადიციულის ძლიერებით ასპარეზზე გამოვა. არ იქნება გარჩევა სწორისა და მრუდისა, ღირსეულისა და უღირსის; არ იქნება დაფასება ცოდნისა, პატივისცემა შრომისა. იქ ყველაფერს ძველებური პარტიობა გადასწყვეტს და უხელმძღვანელებს. მაგრამ არა მარტო ძველებური პარტიობა, არამედ ის ახალმოდის პარტიობაც, რომელიც, ვითომდა, საზოგადოებრივ ხასიათის იდეალსა და განსაზღვრულ სოციალ-პოლიტიკურ მოძღვრების გარშემო მყარდება. არსებითად, ძველებური და ახალმოდის პარტიობა ერთისა და იმავე ზნისა და მეთოდისაა. როგორც უწინდელი პარტიობა არ დაგიდევდა გასაკეთებელ საქმის ინტერესს და საქმეში ჩასაყენებელ კაცის პირად ცოდნა-ღირსებას და მთელ ყურადღებას მხოლოდ ერთი ორ-კაცის და მის ვიწრო ჯგუფის ინტერესს აქცევდა, აგრეთვე დღევანდელი ჩვენებური პარტიობა იმას კი არ დაგიდევს, თუ საქმისთვის რა ეჯობინება; არც იმას, რომ ამ საქმეს მხოლოდ ღირსეულიადამიანი გამოუძებნოს, არამედ მარტო იმისთვის ცდილობს, რომ საქმეში თავის წრისა და პარტიის კაცი ჩააყენოს და თავისიანებს გზა გაუხსნას ადგილების სისტემატიურ დაპყრობისათვის. საზოგადოებრიობა მაშინაც არ იყო და, სავალალოდ არც ეხლა არის,—უნდა გვქონდეს გამბედაობა ამის თქმისა და აღიარებისა. ამ მხრივ, ახლანდელი პარტიობა წინანდელის კანონიერი შვილია. ქუთაისის საზოგადო დაწესებულებებსა და საქმეებში დღეს ორი სხვა და სხვა პერიოდის პარტიობა ერთმანეთზეა გადახლართული და ორივე ერთად იბრძვის და მოქმედობს. თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქისაგან ქუთაისი მით განირჩევა, რომ პირველში მარტო საამდროვო ფორმაციის პარტიობა მძვინვარებს, ხოლო უკანასკნელში წარსულ დროისაც და თუ თბილისსა და სხვაგან ცალმაგი პარტიობაც საკმარისია საქვეყნო და საზოგადო საქმის შესარყევათ, ქუთაისის ორმაგი პარტიობა ხომ ერთი-ორად მეტ ძალას მოიცემა საქმის წასახდენათ და დასაქცევათ. ტრაბახსა და ბაქი-ბუქს რომ თავი გავანებოთ და ერთ წუთით მაინც თვით ჩვენის თავის წინაშე გულწრფელი ვიქმნეთ, სინამდვილე ძალას დაგვატანს და გვათქმევინებს, რომ ჩვენს საზოგადო დაწესებულებებში დეკორაცია და სიტყვა უფროა, ვიდრე ნამდვილი შინაარსი და საქმე. სხვაფერ არც შეიძლება, თუ სახეში ვიქონიებთ, რომ ჩვენის ცხოვრების წინა რიგი და სამსჯავრო სარბიელი ტრადიციულ უმაქნისობაში გამოზდილ თავად-აზნაურობასა და პოლიტიკურ ფრაზეოლოგიით გამოკვებილს ინტელიგენციას უჭირავს. შრომის და საქმის ინტელიგენცია, მესამე წოდებიდანა და გლეხობიდან გამოსული და პსიხოლოგიურად მათის საქმე-პროფესიის გამრძობი ცოდნა-განათლების წახაღება-გამოყენებით, ჩვენი ქვეყნის საუბედუროთ, ჩვენს ცხოვრებას ჯერ ვერ დაჰპატრონებია. ეს უორგანიზაციობის, მოუწყობლობის და გაფანტულად ყოფნის ბრალი უფროა, ვიდრე თვით ამგვარ ინტელიგენტთა სიმცირისა ან უყოლობისა. თუ საგანს ამ მხრივ შევხედავთ, დავინახავთ, რომ ქართულ საზოგადო დაწესებულება-საქმეების ოფიციალ მმართველობა და წარმომადგენლობა ნამდვილად გამოსადეგ არსებულ ძალთა ვითარებას არ უპასუხებს. ასეა ყოველგან; კერძოდ ქუთაისისთვის ეს ერთობ ნათელი და აშკარაა. აი ამ უკუღმართობას, ცოცხალ მომქმედ ძალების გარიყვა-გაძევებას და უქნელ მოლაყბე ხალხის ბატონობას სხვა და სხვა დაწესებულებებში უნდა ბოლო მოეღოს. ყველას თვისი უნდა მიეზღოს და შესაფერი ადგილი დაიჭიროს ცხოვრებაში. საერთო საქმე მხოლოდ ამ გზით იხეირებს და დაწინაურდება. ბანკი სავაჭრო-ფინანსიური დაწესებულებაა. ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკიც ასეა. მართალია, ეს ბანკი დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის საკუთრებაა, მისი ფულით არის დაარსებული, პატრონი ბანკისა მისი უფალი თავად-აზნაურობაა, ფაქტიურად, იურიდიულად, წესდებით და კანონით, რითაც გნებავთ. მაგრამ ბანკის წარმოებით და მოქმედებით დაინტერესებულია არა-მარტო თავადაზნაურობა, არამედ სხვებიც, ყველა ის, ვისაც ბანკიდან ფული გამოაქვს, და იქ უძრავ ქონებას აგირავებს, ვინც მასთან საქმეს იჭერს, ან საქმის დაჭერას ლამობს, ვინც ბირჟაზე ბანკის გირავნობის ფურცელს იძენს. ბანკის წარმოების კარგად მსვლელობით დაინტერესებულია მთელი ქართველი საზოგადოება. ძლიერი, მდიდარი და სალი წესრიგის ბანკი ქვეყნის ნამდვილი ძალაა. ერის კულტურული და სამეურნეო საჭიროება - მოთხოვნილება მისგან შველას წარსულშიაც პოულობდა და მომავალშიც კიდევ უფრო მოელის. ყველა ამდენ ხალხის ცოცხალი პირადი ინტერესი, ისე მთელი ქვეყნის საერთო ინტერესიც იმდენად მოიგებს, რამდენადაც ბანკის საქმე კარგად წავა. ამ ბანკზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ დამოკიდებულია ყველა ამ ხალხის, ყველა მსესხებელის საცხოვრებელი. აშკარაა, არა მარტო თავად აზნაურობა, არამედ ეს მსესხებლები და უმთავრესად ეს უკანასკნელნი, როგორც ბანკის მოძრავი და ცოცხალი ძალა, ბანკის მართვა-გამგეობასა და წარმოებაზე თავის პირდაპირ გავლენას უნდა ახდენდეს. ამ მსესხებელთა შორის, ვაჭართა წოდებას თუ მთელი ასი პროცენტი არა, ოთხმოცი, ოთხმოცდა ათი პროცენტი მაინც უჭირავს. და აი ვაჭართა ხმა და გავლენა ქუთაისის ბანკის წარმოება-მიმდინარეობაზედ არ მოსჩანს. ორას ათ რწმუნებულისაგან, რომელთაც ბანკის ბედ-იღბალი აბარია, ას ხუთი წესდებით თავად-აზნაურობას ეკუთვნის, წმინდა წოდებრივია და და დანარჩენი ას ხუთი, დღეს—ან ისევ თავად-აზნაურობის დაყენებულია, ან კიდევ პოლიტიკური ფრაზეოლოგიით დაავადმყოფებულ პარტიის კაცებისა. ცხადია, ბანკის საქმე სასურველად ვერ წავა. ბანკი ფაქტიურად და ფსიხოლოგიურად ფულსა და ვაჭრობით—ფინანსიურ ფსიხოლოგიაზედ ემყარება. ეს მისი საძირკველია. ხოლო ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკს, ფაქტიურად ისეთი ხალხი განაგებს და პატრონობს, რომელიც ან აზნაურია და, მაშასადამე, შექმნილ სიმდიდრის განიავების მეტი, საერთოდ რომ ავიღოთ, როგორც წოდებას, არაფერი გაუკეთებია ან კიდევ პოლიტიკური პარტიის მოსიტყვე წევრი-სოციალისტი, რომელსაც ბანკსა და მთელ აწინდელ წარმოების სისტემას მეტ ხორცად სთვლის, და მის მოსასპობლად ლესავს კიდეცა თავის კბილსა და ხმალსა. აშკარაა, ასეთი ხალხი ვერ ჩასწვდება ბანკის გულს, ვერ შეიყვარებს მას მთელის არსებით. ბანკსა და ამგვარ ხალხს შორის ნათესაობა არ არსებობს; პირიქით, ფრანგები რომ იტყვიან, ნამდვილი „incompatibilitè de mocrs"-ია მათ შორის; არა შემოქმედების და სიცოცხლის შეტანა-წარმატებისათვის შედის ასეთი ხალხში ბანკში, არამედ იმისთვის, რომ იგი გამოიყენოს თავის პარტიის ბატონობის იარაღად და თავისიანების დასაბინავებლად! ვაჭარი და მრეწველი კი, რომელსაც ყოველდღე დახლში ყოფნით, საკუთარი თაოსნობით, გამოზოგვით და შრომით სიმდიდრე შეუქმნია, იცის და შეუსისხლხორცებია ყოველი საიდუმლო ფულისა და ვაჭრობა-კომერციისა, რომელიც მდგომარეობით და პსიხოლოგიით იწვევს ბანკების გაჩენას, ასაზრდოვებს და უძლევს მათ,—აი ეს ხალხი და მისი ღვიძლი ინტელიგენცია, იმავე ფსიხოლოგიით გაჟღენთილი და იმავე პროფესიის შეგნებული განმგრძობი, გარიყულია, დაშორებულია ქუთაისის საადგილმამულო ბანკის მართვა-გამგეობას. უკუღმართობა და ბანკის უბედურებაც სწორედ აქ მარხია. მიმდინარე არჩევნებმა ეს ყოვლად შეუწყნარებელი სინამდვილე უნდა დაარღვიოს და ახალი, უფრო გონიერი და მიზან-შეწონილი შექმნას! ზემოთა ვსთქვით, რომ ამისთვის ხალხი და მასალა არის. საჭიროა მხოლოდ ყველა ძალის თავის მოყრა და ერთად გამოსვლა არჩევნებში. საქმიან დაწესებულებებში სიტყვამ და პოლიტიკამ ადგილი საქმეს უნდა დაუთმოს. ყოველი ამომრჩეველის მიზანი უნდა იყოს ღირსეული და საქმის მცოდნე პირი შესძინონ ამგვარ დაწესებულებას. და ამას უკეთ შესძლებს ის წოდება, რომელიც ქვეყნის ნივთიერეკონომიურ შემოქმედების ამომავალი ძალა და ფაქტორია, რომელიც პირადის ენერგიით, ხერხით და წესით ჰქმნის სიმდიდრეს და რომელსაც საქმე უყვარს. ეს წოდება, ამ შემთხვევაში, ქუთაისის ბანკის მსესხებელ-ვაჭრებია. მათი შეგნებული მოქმედება ქართული საზოგადოებრიობის გამარჯვებაც იქნება იმდენათ, რამდენად საქმე და მოქმედება საზოგადოების აღორძინების ფაქტორია საზოგადოთ, მცონარეობა და ფუჭი სიტყვაობა კი, საქმის ადგილას, საზოგადოების დაშლისა და დარღვევის. თვით ქუთაისის თავად-აზნაურობამ, რომლის აბსოლუტური ბატონობა ბანკზე უზრუნველყოფილია, უნდა შეიგნოს, რომ მისი წოდებრივი ინტერესიც მოითხოვს, რომ ბანკი კარგ მომვლელთა და ნამდვილ გამოცდილ ჭირისუფალთა ხელში იყოს და არა პარტიულ ზეპირსიტყვაობის ხალხის ხელში!

ს. კედია.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

გერმანეთის დიპლომატია ყოველთვის ზურგს უმაგრებს ხოლმე გერმანეთის სტრატეგიას. დიპლომატები ისევე როგორც სტრატეგები, ბრძოლის ასპარეზზე ათასგვარ ქსელებს აბამენ მოპირდაპირის წინააღმდეგ, სცდილობენ ყოველ მხრიდან მას ასე თუ ისე ხელ-ფეხი შეუკრან და მოქმედების უნარი გაუნახევრონ მაინც. ამ შემთხვევაში ისინი სავსებით ანხორციელებენ მაკიაველის პრინციპებს და არავითარ საშუალებაზე უარს არ იტყვიან, თუ კი ინიციატივით და გამჭრიახობით სამშობლოს საბედნიეროდ რამეს მოახერხებენ. სწორეთ ასეთსავე დიპლომატიურ ფართე მანევრასთანა გვაქვს ახლა საქმე, რომელიც დაიწყო ციმერმანის მეთაურობით ამერიკის წინააღმდეგ. ობიექტად ციმერმანის დიპლომატიურ ხრიკობისა ახლა მექსიკა შეიქმნა. კარგა ხანია, რაც ამერიკის ამ ორ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა გამწვავებულია. სამკვდრო-სასიცოცხლო ომს არც ერთი მათგანი, უფრო კი მექსიკა, არ მოერიდება, თუ ამისთვის საბაბი და მიზეზი მისცა რომელმამე მათგანმა და დროც ხელსაყრელი შეხვდა. გერმანეთის მთავრობამ ეს ყველაფერი ყველაზედ უკეთესად იცის და აი, რა წამს ამერიკამაც იბრუნა მისგან პირი, მოპირდაპირე დიპლომატია შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული იყო გერმანეთის საგარეო მინისტრ ციმერმანის მიერ გაგზავნილი ეპისტოლე გერმანეთის ელჩთან მექსიკაში. ამ ეპისტოლეში მინისტრი უთვლის ელჩს: „ბლოკადის გამოცხადების შემდეგ ჩვენთვის სასურველი იყო ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს ნეიტრალობა არ დაერღვია. თუ ამას ვერ მოვახერხებთ, მაშინ მექსიკის მთავრობას წინადადებას ვაძლევთ შეგვიკავშირდეს შემდეგის პირობებით: ომს ერთად ვაწარმოებთ, და ზავს [illegible] ვე ერთად შევკრავთ. [illegible] გავუწევთ, [illegible] მექსიკა უნდა შეუდგეს დაკარგულ ადგილების დაბრუნებას—ახალ მექსიკის, თეხასის და არიზონისას“. ციმერმანის სურვილია, ამ ახალ ოპერაციაში იაპონიაც ჩაითრიოს როგორმე და ურჩევს ელჩს წინადადება მისცეს მექსიკის პრეზიდენტს, რათა თავის თაოსნობით იაპონიის მთავრობას ურჩიოს გეგმის მიღება და გერმანეთ-იაპონიას შორის შუაკაცობაც იკისროს. ამ ეპისტოლიდან ცხადზედ უცხადესია ციმერმანის განზრახვა. თუ ამერიკა ომს გამოუცხადებს გერმანეთს, მაშინ მექსიკის დახმარებით იმდენს მაინც იზამს, რომ ამერიკის ქვეითა ჯარს დააბანდებს და ამ რიგათ საშუალებას მოუსპობს ევროპის ასპარეზზე მოკავშირეებს ჯარები მიაშველოს.

ციმერმანის ეპისტოლეს თავისი შედეგი უკვე მოუტანია. მექსიკის პრეზიდენტს კარანცას მისალმების დეპეშა გაუგზავნია გერმანეთის იმპერატორთან ამ წინადადების გამო. მკითხველებს ეხსომებათ, რომ კარანტამ წინადადება მისცა ყველა ნეიტრალურ სახელმწიფოებს უარი ეთქვათ მოკავშირეთა სახელმწიფოებისთვის სურსათის მიცემაზე. ერთის სიტყვით, თვით პრეზიდენტი და, რასაკვირველია, მისნი მომხრენიც დიდათ გახარებულნი დარჩენილან ციმერმანის წინადადებით და მზადებაც კი დაუწყვიათ მომავალ ომისათვის ამერიკასთან. გაზეთ „დენის“ სამხედრო მიმომხილველი ბატონი დიმიტრიევი სტრატეგიულად ეხება მომავალ მექსიკა-ამერიკის ომს და ამბობს, რომ ამერიკას მართლაც დიდად გაურთულებს საქმეს, ეს ამერიკასთან შედარებით, პატარა სახელმწიფო.

მართალია, მექსიკას არც ისე მრავალ-რიცხოვანი ჯარი ჰყავს. უკანასკნელს შეუძლიან გამოიყვანოს არა უმეტეს 100,000 კაცისა, მაგრამ თვით ამერიკაც ძალიან სუსტობს ქვეითა ჯარის რიცხვის რაოდენობით. ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ გამოცდილებით მექსიკანების ჯარი გაცილებით მაღლა სდგას ამერიკელებისაზედ. განუწყვეტელი ომები ერთმანეთში, მუდმივი ვარჯიშობა მექსიკანელებისა უკვე ცნობილია ევროპაში. თვით ამერიკელების ჯარი კარგა ხანია უმოქმედოთ სდგას და ჯერაც არავინ არაფერი იცის მათის მებრძოლეობის უნარზე. საზოგადოდ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ომი მექსიკასთან ამერიკას მეტად გაუჭირდება, რადგან თვით ამერიკელი გერმანელები საგრძნობლად შეუწყობენ ხელს მექსიკელებს. ხელთა გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ გერმანელები ამერიკაში ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, რომ ამერიკელების ქარხნები ააფეთქონ, რკინის გზები დაანგრიონ, თუ ამერიკა ომს გამოუცხადებს გერმანეთს. ყველა ეს კარგად ახლოვთ, ალბად, ამერი[illegible] და გამჭრიახე ხალხი, აკი ცდილობენ კიდევაც როგორმე ომი თავიდან აიცდინონ.

X.

## ომის დეპეშები

**24 თებერვალი.**

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთისა და რუმინეთის ასპარეზზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**კავკასიის ასპარეზი.** ქამადანის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ოსმალების დევნაში 20 თებერვალს დაიპყრო კიანგავერი. ბიჯარის და დოვლეთაბადის მიმართულებით მოქმედება ვითარდება.

### გემის დაღუპვა

**პარიზი.** საზღვაო სამინისტრო იტყობინება: 15 თებერვალს, ღამის 1 საათზე, კონტრ-ნაღმოსანი „კასინი“, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში მოდარაჯეობდა, მტრის წყალქვეშამ დაჰღუპა. აფეთქების მერე გემი 3 წუთში ჩაიძირა. დაიღუპა გემის უფროსი, 6 აფიცერი, 100 უნტერ-აფიცერი და მეზღვაური; გადაარჩნენ 2 აფიცერი, 32 უნტერ-აფიცერი და მეზღვაური. გადარჩენილთა სიტყვით, ისინი ცურვით გაემართნენ ზღვაში ჩაშვებულ ტივებისაკენ, როდესაც ფრანგულად შემოესმათ ძახილი: „ამხანაგებო აქეთ“. ერთი წუთის შემდეგ მათს თვალწინ წყალქვეშა აიმართა, საიდანაც თოფისა და ტყვიის მფრქვევლების სროლა ასტეხეს. ზღვაში დაეცა აგრეთვე ზარბაზნის ყუმბარაც, რომელიც ერთს ტივს მოჰხვდა.

### იტალია

**რომი.** იტალიის მთავარბანაკის ოფიც. ცნობა. სან პელიგრინოს ველში კოსტაბელის არემარეში მოპირდაპირემ რამდენჯერმე იერიში მოიტანა ჩვენს სანგრებზე, მაგრამ მოვიგერიეთ. 21 თებერვალს დილით აზიაგის მიდამოებში მოსტაგის ხაზზე ჩვენი რაზმები მტრის სანგრებში შეიჭრნენ და დიდი დავლა წამოიღეს—ბევრი იარაღი და სამხედრო სურსათი. მონტესილის მიდამოში მოპირდაპირე სანაღმო გვირაბს სთხრიდა ჩვენი სანგრებისაკენ, ჩვენც სამაგიერო გვირაბი გავთხარეთ, მისი გვირაბი ავაფეთქეთ და მთლად დავანგრიეთ. ამონათხარი ადგილი ჩვენ დავიჭირეთ.

### საფრანგეთი

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. ლაზალის ჩრდილოეთით პორუჩ. პონსარმა მტრის საფრენი ჩამოაგდო 21 თებერვალს.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. მდ. უაზოსა და ენს შუა საკმაოდ ძლიერი სროლა იყო ზარბაზნებისა, ხოლო მულენ-სუ-ტუვანის არემარეში—მზვერავთა შეჯახება. ლორენში, ამბერმენილის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოულოდნელად შევიჭერით მტრის სანგრებში და 15 კაცი დავატყვევეთ. ალზასში სეპუას მახლობლად მტრის შემოტევა მოვიგერიეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ.

### ინგლისი

**ლონდონი.** [illegible] საფრან-[illegible] 21 თებერვალს გერმანელების 3 საფრენი ჩამოვაგდეთ, 3 იძულებული ვყავით დაშვებულიყო. ინგლისელების 4 საფრენი დაიღუპა, 7 სამშვიდობოში დაბრუნდა.

### საბერძნეთი

**სოლუნი.** ეროვნულ თავდაცვის მთავრობამ შეიმუშავა გეგმა მოკავშირეთა ჯარში ჩარიცხვისა ამ გაზაფხულზე. იგივე მთავრობა კრიტოსის კუნძულზე გზების გაყვანას შეუდგება, ხოლო კატერინის მახლობლად მარილის მაღაროებს დაამუშავებს.

## ავსტრია და ამერიკა

(პეტ. დეპ. სააგ.)

**სტოკჰოლმი.** ვენიდან იტყობინებიან: ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამერიკის ელჩს დაწვრილებითი პასუხი გადასცა გარემოცვის თაობაზე შტატებიდან მიღებულ შეკითხვაზე. ბარათში ნათქვამია: ჰუმანიური საქციელი იქნებოდა, თუ გაფრთხილების მიღების შემდეგ მგზავრები არა სარგებლობდნენ იმ გემებით, რომელთაც საფრთხე მოელის. მოკავშირეთა გემებს უფლება აქვთ მტრის სავაჭრო გემებს აუკრძალოს გარემოცულ ფარგალში მენავეობა დაღუპვის შიშით. ამისთვის აუცილებლად საჭიროა მხოლოდ წინდაწინვე განაცხადონ თავისი ზრახვა, რათა მტრისა თუ ნეიტრალ სახელმწიფოს გემმა იცოდეს საფრთხის მოლოდინი და მოერიდოს. ავსტრიის მთავრობას სასურველად მიაჩნია ეს მოსაზრება შტატების მთავრობამაც გაიზიაროს. შეიარაღებული ნეიტრალობის გამართლება არსებულ საერთაშორისო უფლებას არ ეთანხმება, რადგანაც ძნელი შესაწყნარებელია, რომ სავაჭრო გემებმა სამხედრო გემებს ხელი შეუშალონ საზღვაო დავლის ხელში ჩაგდებაში. სავაჭრო გემების შეიარაღება ძირიან-ფესვიანათ სცვლის საზღვაო ბრძოლის სახეს და არ შეეფერება იმ პირთა სურვილს, რომელთა აზრითაც საზღვაო ბრძოლა ადამიანობას უნდა ექვემდებარებოდეს. გარემოცვა მოსალოდნელი განსაცდელის ასაცილებლად არის გამოცხადებული, რის გამოც ავსტრიის მთავრობა პასუხის მგებელი არ იქნება შეიარაღებულ სავაჭრო გემებისა და მათზე მყოფ ხალხის დაღუპვისთვის გარემოცულ ფარგალში, თუმცა ავსტრიის წყალქვეშა ნავები ადრიატიკის და ხმელთაშუა ზღვის ფარგლებს არა სცილდება და ამერიკის ინტერესების დარღვევა ავსტრიის სამხედრო გემებს არც შეუძლიათ.

## ირლანდიის ჰომრული

**ლონდონი,** 22 თებერვალი. თემთა პალატა. ირლანდიელმა ნაციონალისტებმა ოკონნორმა და რედმონდმა თემთა პალატაში რეზოლუცია წარადგინეს ირლანდიის ჰომრულის ანუ ავტონომიის შესახებ; ამ რეზოლუციამ ცხარე კამათი გამოიწვია. ოკონნორმა სთქვა, რომ რადგან მოკავშირენი მცირე ერების [illegible] საჭიროა რომ ირლანდიას ახლავე მიენიჭოს აღთქმული დამოუკიდებელი დაწესებულებანი. რედმონდმა მხარი დაუჭირა ოკონნორს და განაცხადა, რომ ირლანდიელი ხალხი ინგლისს თანაუგრძნობს რაიცა კიდეც დაამტკიცა ომში მონაწილეობით. შემდეგ რედმონდმა მიმართა კარსონს *) და სთხოვა წინადადება მისცეს თავის თანამოაზრეებს, რომ მორიგების გზას დაადგნენ და ავტონომიის მომხრეებს მიეშველონ. რედმონდი დარწმუნებულია, რომ თუ მეფემ პარტიის რომელიმე წევრი აირჩია, კარსონი პირველი ირლანდიური მთავრობის დიდება იქნება. მას ყველა დახმარებას გაუწევს ახალი მთავრობის ორგანიზაციაში.

ლონოდელმა განაცხადა, რომ დღევანდელი კრიზისის დროს უხერხულია ამ საკითხის წარმოდგენა. ლლოიდ-ჯორჯმა სთქვა, რომ ირლანდიის საკითხის მოწესრიგება სიხარულს გამოიწვევს ინგლისელებს შორის, მაგრამ უსამართლობა იქნებოდა რომ ირლანდიელი ხალხის ერთი ნაწილი (ნაგულისხმებია ირლანდიელი პროტესტანტები, რომელნიც ულსტერში სცხოვრობენ) სურვილის წინააღმდეგ თვითმართველობის ფარგალში მოგვექცია. ბრიტანეთის მთავრობა და ხალხი მზადაა ავტონომია მისცეს ირლანდიის იმ კუთხეებს, რომელნიც ამას ითხოვენ, მაგრამ თემთა პალატის პარტიებს შეუძლებლად მიაჩნიათ ულსტერი ძალმომრეობით ირლანდიის საპარლამენტო მთავრობას დაუქვემდებარონ (ირლანდიელი ნაციონალისტების სკამებზე აღელვებული ხმაურობაა.) ლლოიდ ჯორჯის აზრით ულსტერი ახლო მომავალში თვით მიემხრობა ავტონომიურ ირლანდიას, ჯერ-ჯერობით კი საკმაოა თვითმართველობა მხოლოდ პროვინციებს მიეცეს, რომელნიც ამას აშკარად ითხოვენ.

ასკვიტმა ის შეხედულება გამოსთქვა, რომ პარლამენტმა თემთა პალატის გარეშე მყოფს ავტორიტეტულ მხარეს უნდა მიმართოს საკითხის გამოსაკვლევად. ასეთ მხარედ ორატორს კოლონიალური სახელმწიფო მოღვაწეები მიაჩნია, რომელნიც ახლა ლონდონში იმყოფებიანო: ეს მოღვაწეები კარგად იცნობენ ავტონომიას და მის სხვა და სხვა ფორმებს. ამის შემდეგ რედმონდმა თავის მომხრეებს მიმართა და უთხრა, რომ ზედმეტია უნაყოფო ბჭობაში მონაწილეობა: ამ სიტყვების შემდეგ ირლანდიელი ნაციონალისტები ზალიდან გავიდნენ; გასვლის დროს კარსონს ემუქრებოდნენ. ნაციონალისტების წასვლის შემდეგ ლლოიდ ჯორჯმა თანაგრძნობა გამოუცხადა ასკვიტის წინადადებას. ბოლოს კამათი შემდეგისთვის გადაიდო.

*) კარსონი მეთაურია ირლანდიელი პროტესტანტებისა, ეგრედ წოდებული ორანჟისტული პარტიისა, რომელიც ომის დაწყებამდე სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ირლანდიის თვითმართველობის განხორციელებას.

რედ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### საბერძნეთი

ათინის თოფხანიდან იარაღის გაზიდვას წარსულ კვირას შეუდგნენ. ამ თოფხანაში საბერძნეთის შტაბის ცნობებით 60 ათასი თოფი ყოფილა. 10 თებერვლამდე პელოპონესში გადაუტანიათ 100 საველე ზარბაზანი, 60 სამთო, 20 ახალი ზარბაზანი კრუპის ქარხნისა—105 მილიმეტრის ყალბისა, 154 ტყვიისმფრქვეველი და მეფის ჯარში მყოფი მთელი ცხენოსანის არტილერია.

საბერძნეთის ჯარს სულ ჰქონია 140 ათასი მანლიხერის თოფი, 60 მაუზერის თოფი, 100 ათასი გრას თოფი, 10 ათასი მარტინის თოფი, სულ 310 ათასი თოფი. მას მერე, რაც საბერძნეთის მეოთხე კორპუსი გერმანელებს დაჰნებდა, საბერძნეთის ჯარს 261 ათასი თოფი დარჩა. აქედან პელოპონესში 10 თებერვლამდე გადაუტანიათ 60 ათასი თოფი მანლიხერისა, 32 ათასი მაუზერისა და 34 ათასი გრასი. გასაგზავნად გამზადებული იყო 8 ათასი მაუზერი, 10 ათასი გრა, სულ 144 ათასი თოფი. საბერძნეთში წესიერების დამცველ ჯარისა და ჟანდარმერიისათვის საჭირო იყო 25 ათასი თოფი. ამგვარად საბერძნეთის მთავრობის [illegible] კიდევ 16,500 მანლიხერი, 18 ათასი მაუზერი, 4 ათასი გრა და 10 ათასი მარტინი, სულ 92 ათასი თოფი.

### ავსტრია

ავსტრია-უნგრეთის სამხედრო მთავარშტაბის უფროსი კონრად ფონ ჰეტცენდორფი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს და მის მაგიერ ბარონი შტრაუსენბერგი დანიშნეს.

### პოლონეთის სამეფო

**აფიცერთა მომზადება**

პოლონეთის სამხედრო მთავრობამ დემბლინში დაარსა შემდეგი სამხედრო სასწავლებლები: სააფიცრო უმაღლესი, სააფიცრო დაბალი, უნტერ-აფიცრების მომმზადებელი, ტელეფონისტების მომმზადებელი, საადმინისტრაციო. უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ პორუჩიკები, პოდპორუჩიკები და პრაპორშჩიკები. მასწავლებლად არიან გერმანელი აფიცრები და ლეგიონის აფიცრები. დაბალ სასწავლებელში ეხლა 90 უნტერაფიცერი და რამდენიმე აფიცერია. მთავარშტაბისათვის აფიცერთა მოსამზადებლად ვარშავაში დაარსეს კურსები. ამ კურსებზე 21 აფიცერია.

**სახელმწიფო საბჭო.**

პოლონეთის სამეფოს დროებითი სახელმწიფო საბჭომ შემდეგი დებულებანი შეიმუშავა სახელმწიფო საბჭოსათვის:

1. სახელმწიფო საბჭოს ორგანოში შედის: 1) საბჭოს წევრთა კრება, სახელმწიფო საბჭოს აღმასრულებელი ბიურო, მეფის მარშალი, დეპარტამენტები, მომზადებული კომისია და ადგილობრივი კომისიები.

2. საბჭოს ყველა ორგანოები საზოგადო კრებას ექვემდებარება. კრებას შეუძლიან მათი დადგენილებანი გააუქმოს.

9. საზოგადო კრება განიხილავს და გადასწყვეტს ყველა ძირითად საკითხებს, დებულებათა პროექტებს, წესდებას, ნაკაზებს და განკარგულებათ [illegible] საკითხებს და გარდა ამისა მის კომპეტენციაში მყოფ სხვა საკითხებს.

16. სახელმწიფო საბჭოს კრებაზე ყველა საკითხები დამსწრეთა ხმის უმეტესობით სწყდება. სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტები აღმასრულებელ ბიუროს მეთვალყურეობით მოქმედებენ.

17. აღმასრულებელ ბიუროში შედიან: მეფის მარშალი, მარშლის ამხანაგი და საბჭოს წევრთა შორის არჩეული 7 წევრი. მეფის მარშლის გარდა, აღმასრულებელ ბიუროს წევრები დეპარტამენტების დირექტორებადაც ითვლებიან.

21 მეფის მარშალი იმავე დროს სახელმწიფო საქმის თავმჯდომარედ და მის წარმომადგენლადაც ითვლება. მეფის ან რეგენტის არჩევამდე იგი ითვლება უმაღლეს წარმომადგენლად და პოლონეთის სახელმწიფოებრივ უფლების განმახორციელებელია როგორც შინ ისე საზღვარგარედ. მეფის მარშალი ატყობინებს დაპყრობილ მხარეთა კომისარებს სახელმწიფო საბჭოს დადგენილებათ, რომელთაც კი მათი აზრის გაზიარება ან მოწონება სჭირდება.

## კალევალას კვირა ფინეთში

### I. დღესასწაული.

აგერ რამდენიმე დღეა რაც ჰელსინგფორსის ანუ, როგორც ფინები უწოდებენ თვის დედაქალაქს, **ჰელსინკის** ფინურ გაზეთებმა გამოაცხადეს „**კალევალას**“ კვირა. რა არის „კალევალა“? „კალევალა“ არის ფინების ეროვნულ პოეზიის შარავანდედი და ეროვნული სიამაყე, ვითარცა ქართველთათვის „ვეფხვის ტყაოსანი“. სახალხო პოეზიის დიდი მცოდნის **ი. გრიმმის** სიტყვით, „კალევალა“ არის „უუძვირფასესი განძთაგანი სახალხო პოეზიისა“ და როგორც ასეთი, რასაკვირველია, ჩვენთვის საჭიროა მისი ზერელედ მაინც გაცნობა, რათა მომავალში ღირსეულად შევისწავლოთ და გადმოვნერგოთ ჩვენს ლიტერატურაში.

მაგრამ სანამ „კალევალას“ შევეხებოდე, მოგახსენებთ თვით, ჯერ კიდევ დაუსრულებელ, მის სადღესასწაულო კვირაზე. მისივე სახელით წოდებულ „**კალევალას საზოგადოების**“ მეთაურობით ჰელსინგფორსის ფინურ სხვა და სხვა კულტურულ საზოგადოებებმა ყველიერის კვირა გამოაცხადეს **კალევალას კვირად**. ამ კვირის განმავლობაში ყველა ჟურნალ-გაზეთებში იწერება სხვა და სხვა ხასიათის წერილები „კალევალას“ შესახებ და მოუწოდებენ საზოგადოებას დაესწრონ კალევალას საღამოებსა, კონცერტებსა და ოპერებს, რომელნიც იმართებიან ყოველ დღე დანიშნულ ხნის განმავლობაში ჰელსინკის სხვა და სხვა ადგილას. მთელი ერი სრულის შეგნებით და აღტაცებულის ერთსულოვნებით ეგებება ამ ეროვნულ დღესასწაულებს. ყველა საღამოების, კონცერტების და წარმოდგენების შემოსავალი ერთიანად გადადებულია „კალევალას“ ფონდისთვის. მართალია „კალევალას“ ღირსეული მოვლა და დაფასება თავიდანვე არ დაჰკლებია, მაგრამ ახლა სურთ მისი ძვირფასად დასურათება, არა მარტო როგორც წიგნის, არამედ დამშვენება ფინურ მუზეუმისა ხელოვან სურათებით „კალევალის“ შინაარსიდან. დღევანდლამდეც დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი „კალევალას“ სურათებს ჰელსინკის ქანდაკება-მხატვრობათა მუზეუმ „Ateneum“-ში. მთელი რიგი დეკორაციებია იმავე კალევალას გმირთა ცხოვრებიდან ფინურ მეტად საყურადღებო „ეტნოგრაფიულ მუზეუმში“. ამ უკანასკნელ მუზეუმში თქვენ ნახავთ ხის სახლს, რომელშიაც უხდებოდათ ცხოვრება „კალევალის“ ფანტასტიურ გმირებს, სახლის მოწყობილებებს, იარაღებს და მრავალ იმისთანებს, რომელთაც წიგნის შინაარსი გვიხატავს. ფინეთის ერს ძლიერ უყვარს „კალევალა“ და შესაფერისადაც აფასებს მას. დღევანდელ სადღესასწაულო კვირამ უნდა მისცეს დიდი შემოსავალი, რომელიც ერს საშუალებას მისცემს უფრო ძლიერად დააფასოს თვისი სიამაყე „კალევალა“. გადაწყვეტილია, როგორც ზემოდაც მოგახსენეთ, ძვირფასად დაასურათონ წიგნი და შეამკონ მუზეუმი „კალევალის“ გმირთა სურათებით. ამ სურათების შექმნა მინდობილი აქვს ცნობილ მხატვარს **აქსელ გალლენ-კალლელას**, რომელიც უკვე კარგად ცნობილია, როგორც შეუდარებელი ხელოვანი დამსურათებელი „კალევალის“ გმირთა. მხატვარ აქსელ გალლენ-კალლელას საზოგადოება უნიშნავს შრომის ფასად ორმოცდა-ათი ათას (50,000) მარკას წლიურად ამბობენ რამდენიმე წელი გავა, სანამ ზემოდასახელებული მხატვარი ამოსწურავდეს იმ სურათებს „კალევალის“ შინარსიდან, რომლითაც უნდა შეიმკოს ფინეთის მუზეუმი და წიგნი. აი როგორ დიდ ენერგიას იღებს ფინეთის ერი თვის ეროვნულ განძის დასამშვენებლად და შესამკობად!.. ეს მაგალითი დიახაც რომ მისაბაძია!.. ამის მნახველს გული გტკივა, როცა იგონებ იმ უბედურობას, რომელსაც ჩვენ ვიჩენთ ქართველ ერის სიამაყის „ვეფხვის ტყაოსნისა“ და მის შემქნელ დიდებულ **შოთა რუსთაველის** წინაშე!..

### II. კალევალა.

ეხლა მოგახსენებთ თვით „კალევალის“ ღირებულების შესახებ. სათანადოდ წარმოდგენისთვის სასურველი იყო „კალევალას“ შინაარსის მოყვანა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ წერილში ამას ვერ ვახერხებ და მომავლისთვის გადავდებ, მით უმეტეს, რომ ეს არც ისე ადვილი და მოსახერხებელია საგაზეთო წერილში.

წინააღმდეგ ჩვენი „ვეფხვის ტყაოსნისა“, რომელიც არის შემოქმედება პიროვნებისა, „კალევალა“ ხალხის მიერ შექმნილი დასამღერებელი ზღაპარია, ანუ როგორც ლიტერატურაში უწოდებენ სახალხო **ეპოსია. ლ. ბელსკი**, რომელმაც „კალევალა“ შეისწავლა და ფინურიდან რუსულად ლექსადვე გადმოთარგმნა, ამბობს: „კალევალა“ არის ისეთი სახალხო ეპოსი, რომელსაც **საშუალო** ადგილი უჭირავს **ღმერთთა და სტიქიონთა** შემქებ და შემდეგ წარმოშობილ **გმირთა** შემქებ სახალხო დასამღერებელთა შორის. ფინური ეპოსი „კალევალა“ არის პოეზია სტიქიისა, მჭიდროდ შეკავშირებული საგმირო პოეზიასთან. იგი დაჯილდოებულია დაუფასებელ ღირსებით, რადგან დაწვრილებით გვ ხატავს იმ კავშირს, რომელიც არსებობს გმირთა და მათს წარმომშობ სტიქიურ ძალთა შორისო“.

„კალევალის“ გმირთა შემქებ ლექსებს ხალხი ამღერის თავის ეროვნულ დასაკრავ **კანთელეზე**, რომელიც წარმოადგენს მრავალ სიმებიან ჩონგურის მსგავს დასაკრავს და, რომელიც იმავე „კალევალაში“ არის მოხსენებული, როგორც ყოვლის შემძლე დასაკრავი, რომელზედაც მთავარი გმირი პოეზიისა **ვეინემეინენი** უკრავდა და ამღერიდა და რომლითაც შეეძლო მისი ძლიერის სიტკბოებით დაეძინებინა მთელი ხალხი. კანთელე ვეინემეინენის ხელში ძლიერი იარაღი იყო მტერთ წინააღმდეგ საბრძოლველად. მქონდა შემთხვევა რამდენჯერმე მომესმინა **კანთელეზე** დამღერება „კალევალისა“. ორი უკრავს და ამღერის მორიგეობით. მუსიკა მეტად ერთფეროვანია.

„კალევალა“ დაუშრეტელ წყაროდ იქცა ფინეთის არა მარტო მხატვარმოქანდაკეთათვის, არამედ კომპოზიტორთათვისაც. კალევალიდან დასწერა კომპოზიტორ **მერიკანტო ოსკარმა** ორი ოპერა: „**პოჰიან ნეიტო**“ (ჩრდილოეთის ბანოვანი) და „**აინო**“ (გმირ ქალის სახელია). ამ დღეებში პირველად დაიდგმება კომპოზიტორ **არმას ლაუნის** ახალი მესამე ოპერა „**კულერვო**“ (გმირ-ჭაბუკის სახელია).

ეხლა გავეცნოთ მეცნიერთა აზრს „კალევალის“ შესახებ. ამ მხრივ საყურადღებონი არიან თვით შემკრები „კალევალასი“ აწ განსვენებული დოქტორი მედიცინისა და პროფესორი ფინურ ენისა **ელიას ლენროტი**, პროფესორი ფინურ ფილოლოგიისა ჰელსინგფორსის უნივერსიტეტში **კ. კრუნი**, რუსეთის მეცნიერნი **ი. გრიმმი**, **ი. კ. გროტი** და იტალიელი მეცნიერი **კომპარეტტი**.

ფინთა საყვარელი **ელიას ლენროტი**, რომლის ბიოგრაფიასაც ქვევით გავაცნობთ, „კალევალას“ სთვლიდა ფინელ ერის მთლიან **ეპოპეიად**, რომელიც დროთა განმავლობაში დანაწილდა და გაფანტულად შეინახა სხვა და სხვა ადგილის მომღერალ-მოლექსეთა შორის. იგი დარწმუნებული იყო, რომ „კალევალა“ იგივეა, რაც ელინთათვის **ილიადა და ოდისსეია**. ასეთი იყო, ასე რომ ვთქვათ, ნახევრად ავტორის ელიას ლენროტის აზრი, რომელიც შემდეგმა გამოკვლევებმა კლასიკურ სახალხო პოეზიის შესახებ, საზოგადოდ, და კერძოთ „კალევალისამი“ ეს აზრი სხვანაირად შეცვალა. ამ მხრივ დიდი ავტორიტეტები არიან ზემოდ დასახელებულ მეცნიერთა შორის **კ. კრუნი და კომპარეტტი**. მათმა გამოკვლევებმა ნათელ ჰყვეს, რომ **„კალევალა“ არ არის მთლიანი სახალხო ეპოპეია, არამედ ხელოვნურად შეკავშირებული ელიას ლენროტის მიერ ერთ მთლიან ეპოპეიად სხვა და სხვა სახალხო სიმღერა-ლეგენდებიდან.** მათის აზრით, ელიას ლენროტის შეცდომა გასამართლებელია მით, რომ მის დროს ელლინთა **ილიადას და ოდისსეიას** ერთიანად **ჰომეროსის** მიერ შექმნილად სთვლიდენ. მაგრამ, შემდეგ, როცა აზრი შეიცვალა დასახელებულ კლასიკურ პოემებზე, შეიცვალა აზრი „კალევალის“ შესახებაცო. ამ მეცნიერთა აზრი დღეს საერთო აზრად იქცა. ეთანხმება რა ზემო დასახელებულ მეცნიერთ აკადემიკი **ი. გროტი**, ამბობს: „თუ მართლა არსებობდა **ჰომეროსი**, რომელმაც ელლინთა ლექს-ლეგენდა-სიმღერების შეერთებით შექმნა მთლიანი ეპოპეიები **ილიადა** და **ოდისსეია**, მაშინ „კალევალის“ შემკრები **ელიას ლენროტი შეგვიძლია შევადაროთ ჰომეროსს**, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ელინთა ეპოპეიებში მეტი ბუნებრივი კავშირი და მთლიანობაა ვიდრე ფინურ ეპოპეიაშიო“.

უკანასკნელ მეცნიერის შედარება სრულიად ბუნებრივია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ, მსგავსად ჰომეროსის ეპოპეიებისა, რომლის ზედგავლენითაც გაიზარდა ელინთა ცივილიზაცია და აყვავდა მათი თიატრი და სკულპტურა, როგორც ხელოვნება ფინთა „კალევალა“ შეიქნა უმთავრეს გამოსავალ წერტილად საკუთარ-ბუ-

24. სახელმწიფო საბჭოსთან არსდება რვა დეპარტამენტი: სამხედრო, საფინანსო, საპოლიტიკო, საშინაო საქმეთა, საზოგადო მეურნეობისა, შრომისა, იუსტიციისა და სარწმუნოებისა და სახალხო განათლებისა.

25. ყოველი დეპარტამენტი განსაზღვრულ საქმეს აკეთებს: აღმასრულებელ ბიუროს დავალებით კანონთა და განკარგულებათა გეგმას ადგენს, ამავე ბიუროს დავალებით თავის მოსაზრებას გამოსთქვამს დეპარტამენტის გარეშე დამუშავებულ ასეთივე გეგმების თაობაზე, სახელწიფო საბჭოს უფლებათა ფარგლებში მომწყობს ორგანიზაციას და ადმინისტრაციას.

სამხედრო დეპარტამენტის დაწესებულებით სამხედრო მთავრობა ამტკიცებს, რომელიც მოკავშირე სახელმწიფოების მიერ დავალებული აქვს პოლონეთის ჯარის მოწესრიგება. ამ დეპარტამენტის შედგენამდე დეპარტამენტის საქმეებს განაგებს სახელმწიფო საბჭოს მიერ არჩეული საგანგებო კომისია.

27. ყოველ დეპარტამენტში არსდება მუდმივი საბჭო დეპარტამენტისა.

28. სარწმუნოებისა და სახალხო განათლების დეპერტამენტის საბჭოში 27-დე მუხლი მოხსენებულ საზოგადო წესით არჩეულ პირთა გარდა უნდა იყოს წარმომადგენელნი შემდეგი სარწმუნოებისანი: 2 დელეგატი კათოლიკეთა საეპისკოპოსოსი, 1—აუსბურგის კონსისტორიისა, 1—რეფომატორთა კონსისტორიისა და 1—ებრაელების საზოგადოებისა.

38. ადგილობრივ საადმინისტრაციო წესის შემუშავებამდე, დაპყრობილ ოლქებში აღმასრულებელი ბიურო აწესებს მაზრებსა და ზოგიერთ ქალაქებში ადგილობრივ კომისარებს.

### პოლონური ფული

გერმანელების მიერ დაპყრობილ პოლონეთის გენერალ-გუბერნატორმა ბრძანება გასცა, მოიჭრას რკინისა და ალიუმენის პოლონური ფული 20 მილიონი მარკისა.

## უკანასკნელი ცნობები

**საფრენების ცნობილი გერმანელი მექარხნე ფოკერი ამზადებს ახალის ტიპის დიდს საფრენს, რომელიც მეტოქეობას გაუწევს ოკეანეს გემებს. ამ საფრენით მგზავრებს გადაიყვანენ. მგზავრობას ევროპიდან ამერიკაში ორი დღე მოუნდება.**

—

**ნიუორკიდან იტყობინებიან: გამოქვეყნდა ნოტა ციმერმანისა. გერმანეთი მოუწოდებს მექსიკას და იაპონიას შეერთდნენ შეერთებულ შტატების წინაამდეგ. ეს ამბავი ამერიკელებს დიდად სამწუხაროდ დარჩათ. ამ ინტრიგის დამწყობად ითვლება ბერნსტორფი. იაპონიის საელჩომ ვაშინგტონში განცხადება დაბეჭდა, რომლით ამ ისტორიას არაჩვეულებრივ ისტორიადა სთვლის.**

—

**გერმანელებმა დღუპეს კონტრნაღმოსანი „კასინი“.**

—

**პეტროგრადის საავენტო ოფიციალ ცნობას იტყობინება: ერთის კვირის განმავლობაში ინგლისის ნავთსადგურში მოვიდა 2528 სავაჭრო გემი სხვა და სხვა ეროვნებისა. ნავთსადგურებიდან გავიდა 2477 გემი. გერმანელებმა დაღუპეს 25 სავაჭრო და ხამიც მეთევზეთა გემი.**

—

**სამხედრო მინისტრმა ბელიაევმა სათათბიროს თავმჯდომარეს როძიანკოს შემდეგი წერილი მისწერა: მოსკოვის და მოსკოვის მაზრის სამხედრო ოლქის უფროსს უმაღლესად ევალება დაიცვას სახელმწიფო წესრიგი. ამიტომ მოსკოვის სამხედრო ოლქის უფროსი, რაც კი სახელმწიფო წესიერების დაცვას შეეხება, თავის მოქმედებისა და განკარგულებათა სფეროში, როგორც მთავარსარდლობის უფლებით აღჭურვილი პიროვნება, სამხედრო მინისტრს არ ექვემდებარება. 93 მუხლის ძალით მთავრობის ვერც ერთი დაწესებულება და იმპერიის პიროვნება მას ანგარიშს ვერ მოსთხოვს და ვერც რამე განკარგულებას დაავალებსო.**

## ახალი ამბავი

◆ **სასახლეში.** თებერვლის 23 მეფის ნაცვალს წარუდგა გენერ.-მაიორი თ-დი ბესარიონ ჩიქოვანი, რომელიც საუზმეზე იქმნა მიპატიჟებული.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ** 23 თებერვალს დაადგინა: 1) გაიგზავნოს საჭირო თანხა ახალციხესა და არტაანში ახალ თავშესაფართა შესანახით, 2) გაეგზავნოს პეტროგრადში თბ. თავად-აზნაურთა წინამძღოლს და სახელმწიფო საბჭოს წევრს კ. აბხაზს დეპეშა, რომ აფხაზი ქართულ საქვ. საზ. სახელით მიესალმოს გენერალ ივანე ნაკაშიძეს მის იუბილეზე, 26 თებერვალს. 3) გადაიდვას თ. ნაკაშიძის ფონდში 5000 მანეთი.

◆ **ომისაგან დაზარალებულთათვის.** ქ. ზ. წ. კ. გ. საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ომისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის წინაშე, გადასცეს ახლათ დაარსებულ თავშესაფარებისთვის 13000 მან.

◆ **ახალი მონასტერი.** სინოდის ნებართვით კავკასიაში იხსნება ახალი მონასტერი მამაკაცთათვის. სახელად ეწოდება ნიკოლოზის მონასტერი, უნდა გაიხსნას იმ გუბერნიაში, სადაც ასეთი ჯერ არ არის.

◆ **გადამდებ სენის წინაამდეგ.** 26 თებერვალს ქალაქის გამგეობაში კრება იქნება ქალაქთა კავშირის ლაზარეთებში მომუშავე ექიმ-ორდინატორთა. უნდა ითათბირონ, რა ღონისძიებით უნდა ებრძოლონ გადამდებ სენს.

◆ **ფქვილი.** გუბერნატორმა თავის დროზე გენერ. იანუშკევიჩსა სთხოვა, ქალაქს გამგეობას 30,000 ფუთი ფქვილი ასესხეთ საინტენდანტოს საწყობებიდანაო. გენერ. იანუშკევიჩმა გუბერნატორის თხოვნა დააკმაყოფილა და თან თხოვნაზე ასეთი რეზოლიუცია დააწერა: „ვუთმობ ფქვილს უკანასკნელად, რადგან თბ. ქალაქის გამგეობას წინათ ნასესხები ფქვილი ერთხელაც არ დაუბრუნებია და არცა ცდილა სადმე ეშოვნა ფქვილი“.

◆ **ტატიანას სახელობის კომიტეტისაგან** ქართ. საქველმოქ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ მიიღო 16 500 მანეთი.

◆ **სასწავლებლო ინსტიტუტი.** კავკ. სამოსწ. მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა ბათომში სამასწავლ. ინსტიტუტი იქმნას გახსნილი.

◆ **ახალი წიგნი.** გამოვიდა ლ. ბოცვაძის წიგნი „სახალხო სკოლა და საპროფესიო განყოფილება“. ეს წიგნი რეფერატად იყო წაკითხული კულტურულ საზოგადოებათა შეკვეთით საზოგადო კრებაზე და კრებამ ყველა მოხსენებაში აღნიშნული ტეზისები მიიღო. წიგნი სუფთათაა გამოცემული და ღირს ორ აბაზათ.

◆ **ქალაქის სამასწავლებლო კომისიამ** უკანასკნელ სხდომაზედ დაადგინა: 1) შემოღებულ იქმნას ქალაქის სკოლებში ხატვის სწავლა; 2) ვერის სკოლაში მასწავლებლად დაინიშნოს ფუსიაშვილის ქალი და მის ადგილზე კი მიღებულ იქმნას ზაალიშვილის ქალი; 3) შეძენილ იქმნას ნარიმანოვის უძრავი მამული, სადაც მოთავსებულია 2 ავლაბრის სასწავლებლები.

◆ **სომეხთა საქვ. საზოგ.** შეუდგა ყარსის ოლქში ფქვილის გაცვლას ხორბალზე, რომ შეიძინონ ლტოლვილთათვის სათესლე.

◆ **საჩაიე-სასადილოების დაკეტვა.** კავკასიის სამხედრო ფრონტის უფროსმა განკარგულება გასცა დაიკეტოს თბილისში 34 საჩაიე და სასადილო, სადაც შეუმჩნევიათ მაგარი სასმელების გაყიდვა.

◆ **ქალაქის საავადმყოფოში** (40 ლაზარეთი) 24 თებერვალს ირიცხებოდნენ: ყულპირვებიანი 85, ქუნთრუშიანი 12, ყვავილიანი 45, შავი სახადით 922.

◆ **სამეურნეო სასწავლებელი ქუთაისში.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა დაარსდეს ქუთაისში საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი სამთამადნო განყოფილებით.

◆ **შეპყრობა.** პოლიციამ შეიპყრო გიორგი იავრიანცი და აირაპეტ შამნიანცი, რომელნიც შედიოდნენ მაღაზიებში და საგალანტერეიოებში, მიჰქონდათ საქონელი და ფულს არ იხდიდნენ და თანაც საქონლის პატრონთ რევოლვერით მოკვლას ემუქრებოდნენ. პოლიციამ შეიპყრო აგრეთვე დეზერტირები: სარვის პაპაიანცი, მიხეილ ოსკაკოვი და მეორე ხარისხის მოლაშქრენი, რომელნიც არ გამოცხადდნენ სამხედრო ზეგრის მოსახდელად: გიორგი გაბრიელიანცი, არმენაკ ეგიკოვი, რუბენ აივაზოვი, ბახშო მაუმოვი, სიმონ ბეჟიტაშვილი, ივანე ნაიროვი და კ. ჩაჩკიანცი.

◆ **მუსულმანთა მუფტის გაიაბოვის დასაფლავება.** 23 თებერვალს დიდის ამბით დაასაფლავეს ამიერკავკასიის მუფტი ჰუსეინ ეფენდი გაიბოვი. განსვენებას დაესწრნენ მეფის ნაცვლის კანცელარიის დირექტორი პ. ისტომინი, თბ. გუბერნატორი მანდრიკი, გუბერნიის თავად-აზნ. მარშლის თ. ასსრ. თ-დი დ. ჩოლოყაშვილი, ქალაქის თავი, კავკ. სამოსწ. ოლქის მზრუნველი, წარმომადგენელნი: უმაღლესის ადმინისტრაციისა, ქართველ თავად აზნაურობისა, მუსულმანთა, ქართველთა და სომეხთა საზოგადო ორგანიზაციათა. სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობას ღებულობდნენ აგრეთვე საშუალო სასწავლებლების მოწაფენი, რომელნიც ამ შემთხვევისათვის სწავლისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ.

◆ **ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელმა** საზოგადოებამ გამოსცა შიო მღვიმელის საბავშო წიგნები ძუნწი, ნატვრა და სამი ცელქი.

◆ **მასწავლებელთა კრება.** დღეს, 25 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია თბილისის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლების მასწავლებელთა საზოგადო ყრილობა; კრების საგანია: 1) თბილისის გუბერნიის პირველ დაწყებით სასწავლებლების მასწავლებელთა და მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების თბილისის ფილიალურ განყოფილების დაარსება, 2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

◆ **ცეცხლის გაჩენა.** 21 თებერვალს სიმონოვის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა ასაკოვის სახლს. მეხოძელ რაზმმა დროზე მიუსწრო და სახლი გადაარჩინა. ზარალი 1,000 მანეთისაა.

### თელავი.

ქალთა საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა გახსნას ფართლეულობის მაღაზია და წევრებად მამაკაცებიც მიიღოს.

— ქართულ დრამატ. საზოგადოების თავმჯდომარემ ი. ბარათაშვილმა თელავის ინტელიგენციასა სთხოვა თელავში მუდმივი დრამატიული წრე დაარსონ.

— ამ დღეებში, ახლათ შეღებებულზე, სოფ. შალაურში შეუცვივდნენ შეიარაღებულნი უცნობნი გიგო ჯავახიშვილს და 2000 მან. წაართვეს.

— სოფ. კურდღელაურში მარანი გაუტეხეს დათა ზურაბიშვილს და 1 ცალი ღვინო მოჰპარეს.

— კახეთის კავშირს მოუვიდა 12 ვაგონი სიმინდი.

— ქალაქის გამგეობას მოუვიდა 1 ვაგონი ფქვილი.

— აქ რამდენიმე დღეს ძალიან თბილი დღეები იყო. 21 თებერვლიდან კი ისევ თოვლი და ცივი ქარები დაიწყო.

— სამარხო ზეთი გირ. 1 მან. და 20 კ. გახადეს აქაურ ვაჭრებმა.

### გორი.

— ქალაქსა და გარშემო სოფლებში ფქვილი სრულებით არ იშოვება. მაზრის უფროსმა გუბერნატორს სთხოვა ფქვილის დათმობა. შიმშილობა გვიახლოვდება.

### ბაქო.

სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის აქაურ კომიტეტს მთავარ კომიტეტისაგან მოსკოვიდან ბრძანება მოუვიდა, სამსახურიდან დაითხოვეთ ყველა უცხოეთის ქვეშევრდომებიო.

### სოხუმი.

აქაურმა სამეურნეო საზოგადოებამ იყიდა 440 ფუთი დაფნის ფოთოლი, 40 ფუთი ევკალიპტუსისა (ქინის ხისა). ეს უკანასკნელი გაეგზავნება რუსეთის სხვა და სხვა ფირმებს ზეთის გამოსახდელად.

## სემინარიელთა საღამო

კვირას, 26 თებერვალს, სამუსიკო სკოლის დარბაზში თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფენი მართავენ სალიტერატურო-სამუსიკო საღამოს ჩვენის სახელოვან მგოსნის ნ. ბარათაშვილის ხსოვნის პატივსაცემლად. საღამოში მონაწილეობას ღებულობენ მხოლოდ სემინარიელნი. მარტო ის ფაქტი, რომ სასწავლებლის მოწაფენი საჯაროდ გამოდიან საზოგადოების წინაშე საკუთარის ძალებით, საკმაოდ მოწმობს იმას, თუ რა შეგნების მატარებელნი არიან ან რომელს ღმერთს ემსახურებიან ისინი.

აგერ მთელი საუკუნე გადის, რაც თბილისის სასულიერო სემინარია შეურყეველ ერთგულებით აბია ჩვენს ეროვნულ უღელში და მუყაითად ეწევა მას. მაგრამ მან სავსებით მაინც ვერ დაიმსახურა ჩვენის საზოგადოების თვალში ის ყურადღება, რომლისაც იგი სრული ღირსია. ვინც ცოტად თუ ბევრად მაინც იცნობს თბილისის სემინარიის და მის მოწაფეთა წარსულს, კარგად უწყის, თუ რა ღვაწლი და „მოწამებრივი“ შრომა მიუძღვით მის თითქმის ყველა შვილთ ჩვენის საზოგადოებრივობის ისტორიაში. ძნელია ისეთ სემინარიელის ნახვა, რომლის ენერგია დაშრეტილიყოს მხოლოდ პირად ინტერესებთან ბრძოლაში; აუარებელია რიცხვი საზოგადო საქმისთვის თავგანწირულთა. ვერავითარმა დევნამ, რომელიც ხანდისხან საშინელ სახეს ღებულობდა სემინარიელთათვის და ითხოვდა მათგან მსხვერპლს, ვერ ჩაუქრო მათ სიყვარული თავის ხალხისა და ქვეყნის. ეს ტრადიცია დღესაც ცოცხალია მათში.

მიუხედავად ამისა, არც ერთი სასწავლებელია ისე მივიწყებული, როგორც თბილისის სასულიერო სემინარია. ჩვენი საზოგადოება თითქმის ყველა სასწავლებლებისგან მოელის ნაყოფს და ზრუნავს და რატომღაც ივიწყებენ სემინარიელებს, რომელთაც, როგორცა ვთქვით, არავისზე ნაკლები, თუ გაცილებით მეტი არა, არ მიუცია ჩვენი საზოგადოებისათვის. ამ მხრივ სემინარია განსაკუთრებითის ყურადღების და თანაგრძნობის ღირსია ჩვენი საზოგადოებისაგან. და უკანასკნელიც მოვალეა თავისი ქონებრივი თუ ზნეობრივი დახმარება გაუწიოს მათ—შემდეგისთვის გასამხნევლად.

დღეს სემინარიელთ ყველაზე მეტად სჭირიათ ასეთი დახმარება და სრული უფლება აქვთ და იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი საზოგადოება განზრახულ საღამოზე თავისის დასწრებით აღმოუჩენს მათ საჭირო ნუგეშს.

ბ.

## სოფლად

III

### ქართლი.

**2. რკინის გზაზედ.** თბილისის სადგურის ერთ კასსას მივაშურე. გავიარე მიხვეულ მოხვეულ ხარიხებს შუა და სად. კასპის ბილეთი მოვითხოვე; სამ მანეთიანი გადავეცი მებილეთე ქალს, ორ მანეთს უკან მიბრუნებს და კიდევ 15 კაპ. ხურდასა მთხოვს. გამოვტრიალდი ხურდის საშოვნელად, დავხედე ბილეთზედ, 85 კაპ. ღირდა. მის მაგიერ, რომ მებილეთეს დაებრუნებინა 15 კ. მე კიდევ მთხოვდა. მეორე მგზავრსაც იგივე გაუმეორა, ხურდა არა ჰქონდა, ერთი შაური გადაუვდო. მე კი, რასაკვირველია, რაღას მივცემდი. გავეშურე მატარებლისკენ.

ყველა ჩქარობს და, აბა ვინა სცალიან, კაპეიკებს გამოედევნონ!

—

სადგურ გომიდან თბილისისაკენ გავემგზავრე ბარგი-ბარხანით. ყველას კარგათ მოეხსენება, რკინის გზით მგზავრობა ეხლანდელ დროში რა ძნელია და რა გაჭირებას განიცდის მგზავრი მით უფრო ბარგიანათ,—და თუ კაცი მარჯვეთ არ არის, ბევრს უსიამოვნებას ნახავს და ბარგსაც დაჰკარგავს.

მესამე კლასის ვაგონში, როგორც იყო დავბინავდი. მატარებელში ბნელოდა. გზის მაჩვენებელს (კონდუქტორი) რუსის ქალს დავეკითხე,—რატომ სანთელი არ გინთიათ-მეთქი.

— Скажите. пожалуста, еще свѣчу изволили зажигать?—უკმეხად შემიბრუნა პასუხი და თან მეკითხება:

— Неугодно-ли Вамъ поставить большую восковую свѣчу?—ცინიკურ კილოთი მითხრა.

—

სადგურებზედ თან და თან მგზავრები გვემატებოდნენ, ვაგონები იჭედებოდა. ერთ სადგურზედ ორი რკინის გზის მოხელე ჩვენს ვაგონში შემოვიდა. გზის მაჩვენებელმა რუსის ქალმა მათ ბილეთები მოსთხოვა; ამათ რაღაც უპასუხეს.

გზის მაჩვენებელმა არც აცივა არც აცხელა და იწყო ხმა-მაღლა ლანძღვა:

— Вы всѣ грузины таковы! Мы за васъ боремся, кровь проливаемъ, а вы здѣсь преспокойно разгуливаете!—ქალმა მოხსნა პირი და ლაზათიანათ შეაქცია რკინის გზის მოხელენი.

ამათ პასუხი გასცეს, სხვებიც წაეშველნენ, ჩხუბი იმართებოდა. სადგურ გორს მივუახლოვდით, აირივნენ მგზავრები და ჩხუბიც ჩაიშალა.

სად. გორს რომ გავსცდით, რკინის გზის ორი მოხელე ერთმანეთს შესჩიოდა,—ვიგინდარა მოთრეულმა ეროვნობა უნდა შეგვაგინოსო.

—

მცხეთის სადგურზედ გადავედი, პატარა პარკით ხილი მქონდა გადასაცემი. ავტრიალდი ისევ ჩემს ვაგონში. გზის მაჩვენებელს რუსის ქალს კარები დაეკეტნა, არავის უშვებდა. დაურახუნე, მაინც კარს არ მიღებს. წეღანდელ სიტყვების გამო ეხლა იურიდა ჩემზე ჯავრისა. რკინის გზის კომენდანტთან წაველ საჩივლელად.

ის იყო, ისიც, თავის ვაგონში ჯდებოდა. ვეკითხები—Кондукторша меня въ вагонъ не пускаетъ!

— А зачѣмъ вы слѣзли? Приказано никого не пускать!

მატარებელიც დაიძრა. რა მექნა, ბარგი მეკარგებოდა, გამოუცდელი სოფლის გოგოც თან მიმყავდა, ისიც უპატრონოდ რჩებოდა. გაქანებულ მატარებელს ერთ კიბეზედ მოვექეცი.

წვიმს, პირქარია, ცივა, ზედა წამოსასხამი ვაგონშია, წვიმა თავ-პირში

---

ნებოვან ფინთა პოეზიისა, მუსიკისა, მხატვრობისა, სკულპტურისა და თეატრისა. „კალევალა“ ის ღვთაებრივი ძალა, რომელზედაც იღვიძება ფინელთა მოზარდი თაობა.

ამ მოკლე დახასიათების შემდეგ საჭიროა ვიცოდეთ შემდეგი: როდის, სად და როგორ იქნა შეკრებილი „კალევალა“? ამ მხრივ ყოველივე ნათელი და უკამათოა, ვინაიდან საქმე შეეხება ახალ ხანას. „კალევალა“ შეკრებილ იქნა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ელიას ლენროტის მიერ ფინურ თემში, ეგრედ წოდებულ **ქარელთა** შორის, რომელთა **ენაც განსხვავებულია** ფინთა საერთო სალიტერატურო ენისაგან და, რომელნიც სცხოვრობენ ფინეთის ჩრდილო აღმოსავლეთის ნაწილში და რუსეთის ჩრდილო დასავლეთის ორ, **არხანგელსკის** და **ვოლოგდის**, გუბერნიებში. საყურადღებოა, რომ ამ თემის, ე. ი. ქარელების დიდი ნაწილი დღევანდლამდის რუსეთში იმყოფება ზემოდასახელებულ ორ გუბერნიაში, ხოლო უმცირესი ნაწილი, ეგრედ წოდებულ **ვიბორგის** (ფინურის გამოთქმით ვიიპურის) გუბერნიაში, რომელიც, **ესტლანდიისა** და **ლიფლიანდიის** გუბერნიებთან ერთად, რუსეთმა მიიღო შვედებთან ომის შემდეგ **ნიშტადის** ზავით 1721 წელს და რომელიც შემოერთებულ იქნა ფინეთთან მხოლოდ 1811 წელს ალექსანდრე პირველის მიერ.

ქარელთა ფინური თემი თავიდანვე დაშორებული იყო და არავითარ მონაწილეობას არ იღებდა საერთო ფინურ კულტურის შესაქმნელად. ასეთმა თემმა კი ფინეთის ერს მისცა ის დაუფასებელი განძი, რომლითაც ყოველი ფინი ამაყობს და თავი მოაქვს.

პირველად გამოიცა „კალევალა“ შემოკლებული 1835 წელს, ხოლო სრული 1849 წელს. ორივე გამოცემა ელიას ლენროტს ეკუთვნის. „კალევალა“ გადათარგმნილია შვედურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიანურ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

### III. ელიას ლენროტი.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს, როდესაც ახლოვდებოდა დრო ფინეთის საკუთარ სახელმწიფოს შექმნისა, ფინეთში დაიბადა სამი დიდი პიროვნება. ესენი იყვნენ: **ელიას ლენროტი, იუჰან ლუდვიგ რუნებერგი** და **იუჰან ვილჰელმ სნელმანი.** პირველი დაიბადა 1802 წელს, მეორე 1804 წელს და მესამე 1806 წელს. ლენროტი იყო სოფლის ექიმი, რომლის დროსაც გაეცნო ფინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთს და შეკრიბა „კალევალა“. რუნებერგი იყო დიდი მწერალი ფინეთისა, რომელიც, თუმცა **შვედურ ენაზე სწერდა**, მაგრამ მაინც დაიმსახურა სახელი „ფინეთის პოეტთა მეფისა“. სნელმანი იყო ცნობილ ფილოსოფოს ჰეგელის მიმდევარი, პროფესორი ჰელსინკის უნივერსიტეტში, სენატორი და დიდი პოლიტიკური მოღვაწე. მან დაარსა ის ჟურნალი „Saima“, რომლის გარშემოც შემოკრიბა პირველი ფინნი პატრიოტნი. სნელმანია მამამთავარი **ფინომანთა პარტიისა**, რომელიც შემდეგ გაიყო ორ—**ძველ-ფინთა** და **ახალ-ფინთა**—პარტიად. ამ სამ პიროვნების ცხოვრების აღწერილობის გაცნობა უდრის ფინეთის აყვავება-აღორძინების ხანის, ისტორიის გაცნობას. მათ დროს იწყება ფინურ ლიტერატურის, ხელოვნების, პოეზიის და ნაციონალურ თვითშეგნების განვითარება-აღორძინება.

1809 წელს, როდესაც ფინეთმა საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრება დაიწყო, ფინები არ იყვნენ სათანადოდ აღჭურვილნი არც ეროვნულის შეგნებით და არც ეროვნულის ლიტერატურა-მწერლობით. ფინეთი და ფინები გუშინდელ ბატონ შვედების ხელში აყვნენ. მთელი მართვა-გამგეობა ფინეთში სრულიად შვედური დარჩა. სახელმწიფო ენა და მწერლობაც შვედური. ფინური ენა ითვლებოდა უკულტურო, ტეტიათა ენად. არსად ფინურ ენას გასავალი არ ჰქონდა, თუმცა ფინეთის მცხოვრებთა 90% ფინები შეადგენდნენ. დიდი იყო შვედების კულტურული ზედგავლენა, რომელმაც თითქმის დღევანდლამდე მოატანა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ფინურ ენას და ფინურად მოაზრე ფინებს ფინეთში სდევნიდა ფინეთისავე სენატი!.. სენატი რომლის წევრებადაც მარტო **შვედომანები** იყვნენ. შვედომანები ჩამომავლობით მარტო ნამდვილი შვედები კი არ იყვნენ, არამედ გაშვედებული ფინებიც! ამ მდგომარეობის უკეთეს წარმოსადგენად მოვიყვან ორ იურიდიულ ფაქტს: 1850 წელს გამოვიდა ბრძანება, რომლითაც იკრძალებოდა ფინურ ენაზე სასულიერო შინაარსის წიგნებს გარდა სხვა წიგნების ბეჭდვა.

1881 წელს უმაღლესის რესკრიპტით პირველად იქმნა ცნობილი და გათანასწორებული ფინური ენა შვედურ ენასთან. ამის შესახებ მეტს აღარ გავაგრძელებ. აქედანაც ნათელია, თუ რანაირი იყვნენ ის პირობანი, როდესაც მოუხდათ მოქმედება ფინ პატრიოტებს; ვამბობ, ფინ პატრიოტებს, რადგან ფინეთის, როგორც სახელმწიფოს, პატრიოტებად შვედებიც იყვნენ და ახლაც არიან.

აი ამ დროს, ახალგაზრდა ელიას ლენროტი ინიშნება სოფლის ექიმად ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ფინეთში, საიდანაც იგი ეცნობა არხანგელისა და ვოლოგდის გუბერნიებში მცხოვრებ მოძმე ქარელებს. უმეტესად არხანგელის გუბერნიის ქარელთა შორის შეკრიბა „კალევალა“. იგი ყოველივე საშუალებას ხმარობდა, რათა ფინური ენა გამხდარიყო სალიტერატურო-სამწერლო ენად. რუნებერგთან ერთად აარსებს 1831 წელს „ფინურ სალიტერატურო საზოგადოებას“. მთელი თვისი ხანგრძლივი სიცოცხლე (82 წლისა გარდაიცვალა) ფინურ ენის აყვავებას შესწირა. ერთ დროს ფინურ ეროვნულ სკოლის ნახვის მონატრული, სრულიად აღორძინებულ და ეროვნულად გაძლიერებულ სამშობლოს მოესწრო. ელიას ლენროტი ერთი იმ ბედნიერ პატრიოტთაგანი იყო, რომელმაც საკუთარის თვალით იხილა აღორძინება იმ წმიდა საქმისა, რომლისთვისაც იგი სცხოვრებდა და რომელსაც მთელი სიცოცხლე ანაცვალა.

მართლაც გასაოცარის სისწრაფით აღმოცენდა ფინეთის მწერლობა და ხელოვნება!!.. ერი, რომელსაც სრულიად არ გააჩნდა ძველი კულტურა და ახალიც ისეთ დონეზე და ისეთ პირობებში, როგორიც ზემოთ დავინახეთ, უცბად, სულ რაღაც ერთ საუკუნის განმავლობაში, სულ დაბალ ხარისხოვან მწერლობით უმაღლეს საფეხურზე ადის?!...

დღეს ფინეთის მწერალთა უკვე მეორე თაობაა. მათი რიცხვი დიდია და შინაარსიანი. ამ მრავალთა შორის დავასახელებ მხოლოდ დიდის სახელით აღჭურვილთ: **ალექსი კივი, იუჰანი აჰო, ტეუვო პაკკალა, სანტერი ივალო, არვიდ იერნეფელდი, არვი იენნეს, სანტერიალკია, კაუპის ჰეიკი, იუჰ ეს ლინნანკოსკი** და მგოსანი ქალები: **მაილა ტალვიო** (პროფ. მიკკოლას მეუღლე) და **მარია იოტუნი.** ფინურ მწერლობის საოცარ სისწრაფით განვითარების თვალნათლივ წარმოსადგენად მოვიყვან ერთ მეტად საყურადღებო და ყოვლად სანდო სტატისტიკურ ცნობას, რომელიც იყო მოყვანილი ფინურ გაზეთებში, როგორც მოკლე შინაარსი პროფესორ **ე. გ. პალმენის** მოხსენებისა, წაკითხული ფინურ სამეცნიერო აკადემიაში. დასახელებულ სტატისტიკიდან მოვიყვან მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც შეეხება ფინურ ენაზე გამოცემულ წიგნთა რაოდენობას სხვა და სხვა დროს. 1540 წ. ვიდრე 1840 წლამდე გამოსულა ფინურ ენაზე ყოველ წლივ საშუალოდ 3—4 ცალი წიგნი, რომელთა დიდი უმეტესობა თარგმანები იყო უცხოთა სასულიერო წიგნებიდან. 1840 წლიდან ფინურ წიგნთა რაოდენობას სისწრაფით დაუწყვია ზრდა, რის წინააღმდეგაც, როგორც ზემოდაც მოგახსენეთ, გამოსულა ბრძანება 1850 წელს, რომლითაც სასტიკად იკრძალებოდა ფინურ ენაზე წიგნების გამოცემა, გარდა სასულიერო შინაარსისა!... ამ ზომას, როგორც დაინახავთ, უქმად ჩაუვლია, რადგან ამავე 1850 წლიდან ვიდრე 1878 წლამდე საშუალოდ ყოველ წლივ გამოსულა 50 ფინური წიგნი, რომელთა, მართალია, ორი-მესამედი ($^{2}/_{3}$) სასულიერო შინაარსის ყოფილა, ხოლო ერთი-მესამედი ($^{1}/_{3}$) ლინგვისტიკური, ისტორიული, პედაგოგიური და ცოტაც მხატვრული. 1900 წლიდან 1910 წლამდე გამოსულა საშუალოდ 500—600 წიგნი, ხოლო თვით 1910 წელს ასულა ათას-ხუთასამდე (1,500).

ეხლა თვით მკითხველმა წარმოიდგინოს ის სისწრაფე ფინურ მწერლობის აღორძინებისა, რომელიც მოხდა 1840 წლიდან ვიდრე 1910 წლამდე! ბედნიერ ელიას ლენროტმა თითქმის ყოველივე ეს საკუთარის თვალით იხილა. ამ ხნის განმავლობაში მისი პირადი ცხოვრება შემდეგნაირად შეიცვალა. სოფლის ექიმი იღებს ხარისხს მედიცინის დოქტორობისას, რომლის შემდეგაც ისევ სოფლად რჩება და განაგრძობს საყვარელ საქმის დაბოლავებას. თითქმის მოხუცი უბრუნდება თავის დედა-ქალაქ ჰელსინკის. აქ იგი უნივერსიტეტში იჭერს პროფესორის კათედრას, არა მედიცინის ფაკულტეტზე, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არამედ ფინურ ენისაზე. ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა 1884 წ.

დ. ჩიქოვანი.

12/25 თებერვალი 1917 წ.
ქ. ჰელსინკი.

მესხმის. შიგნით ვაგონში, კარებთან ერთი რუსის ქალია მიყუდებული. ვუბრახუნებ,—კარები გააღეთ-მეთქი. ზედაც არ შემომხედა. ბევრი ვეხვეწე, ველრიჯე. ბოლოს, გაჯავრებით გამომძახა:

— Вы-же на моей головѣ не сядете!

მატარებელი მიქრის, ვაგონების ბანიდან წვიმის წყალი თავზედ დამდის. ვიდრე ავჭალაში მატარებელი მოვიდოდა, თავით ფეხამდის დავსველდი. ავჭალაში, როგორც იყო, ვაგონებს შუა მგზავრები გავარღვიე და შევედი ვაგონში. შიგნით ხალვათობა იყო, მგზავრები კი წინ შესასვლელ კორიდორში აყუდებულიყვნენ.

—

თბილისის სადგურს მოუახლოვდით. მატარებლიდან გასვლა ყველა მგზავრებისთვის თავსაცემი იყო. გასვლას აღარ გვაცლიდნენ, ახალი მგზავრები ლამობდნენ ვაგონში შემოჭრას, ჩვენ კი გარეთ ვეძალებოდით, ერთმანეთს ვაწყდებოდით, ზედ ვლაჯებდით, ავერდებს მუჯლუგუნით ვუზელავდით. წივილ-კივილი, გინება, ლანძღვა, ფეხქვეშ ამოდება—მეტადრე ჯარის კაცების მხრივ, ჩვეულებრივი მოვლენაა თბილისის სადგურზედ.

და მუდამ ერთი რაღაც ჯოჯოხეთი ტრიალებს თბილისის სადგურზედ. და ყველა მგზავრი თბილისის სადგურს წყევლითა სტოვებს.

Legatus.

## სოლომონ დოდაშვილი და ფარულ საზოგადოების ამბავი

(დასასრული. იხ. „საქ.“ № 43)

ქართველთა შორის, ასეთი პირის დავიწყების, კიცხვის და უარყოფის მიზეზები იფარება ქართველთავე დაძინებულს ცხოვრებაში. მარტო პლატონ იოსელიანმა მოიხსენია სამიოდ სიტყვით სოლ. დოდაშვილი და ისიც მარტოთ 1832 წ. ქართულ ჟურნალ გაზეთების გამოცემის მხრივ. სხვა რამ ს. დოდაშვილის შესახებ ქართულ-რუსულ მწერლობაში არსად რა დაწერილა, თუმცა ერთმა პირმა კი მაუწყა, რომ ვითომც ს. დოდაშვილის შვილს ეწეროს თავის მამის ცხოვრება და ძრინდელ გაზეთ „კავკაზში“ დაუბეჭდიათო ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ვერსად რა ვპოვეთ.

ახლა მივაქციოთ ყურადღება იმასაც, თუ ს. დოდაშვილს, ქართულს ენაზედ რა წიგნები შეუდგენია, რომელნიც მას დაუბეჭდავათ დარჩენია, ყველა ამ წიგნებიდამ დაბეჭდილია მხოლოდ ქართული გრამატიკა 1872 წ. თბილისში. ს. დოდაშვილს ეკუთვნის შედგენა რუსეთში თუ საქართველოში ყოფნის დროს შემდეგი წიგნებისა:

1) მოკლე გეოგრაფია, ევროპის და საქართველოსი ერში და სკოლებში სახმარათ.

2) მოკლე ისტორია ევროპის ერთა, ერში და კლასებში სახმარათ.

3) მოკლე საქართველოს ისტორია ერში და სკოლებში სახმარათ.

4) ისტორია ფილოსოფიისა, თან ერთვით ქართულ ფილოსოფიისა.

5) მოკლე რეტორიკა და „ლოღიკა“.

6) კატეხიზმო, მარტივათ შედგენილი ივანე ხელაშვილის სამ ტომიანი კატეხიზმოდამ.

7) ქართული სიტყვიერების ისტორია, სადაც, სხვათა შორის, განხილული იყო 700-სამდე ხელთნაწერი ქართული წიგნები.

8) სახელმძღვანელო წიგნი რუსულ-ქართული ენისა.

9) მოკლე ლექსიკონი რუსულ-ქართული ენისა, ივანე ხელაშვილის ვრცელი ლექსიკონიდამ შედგენილი.

10) სახელმძღვანელო წიგნი ფრანგული, ნემეცური და სხვათა ენებისა.

11) ისტორია რუსეთის ერისა და სახელმწიფოსი.

12) რუსულ-ქართული ენის რაზლაგორის წიგნი, დაბეჭდა 1831 წ.

13) ქართული გრამატიკა, დაბეჭდა თბილისში 1829 წ.

14) ხორველის დარიგება, რაც გამოიწვია საქართველოში დიდ ხორველობის გაჩენამ.

15) ქართული ანბანი, ხუცურ-მხედრულის ასოებით.

სხვაც ბევრი რამ წიგნია თითქმის სრული სერია ისეთის წიგნების, რითაც ყველა საგნები იმ დროის საქართველოს სკოლებში სულ ქართულათ ისწავლებოდა თურმე. ეს რომ მართალია, ამას ასაბუთებს სოლ. დოდაშვილის ეს სიტყვები, რითაც იგი მიმართავს საქართველოს და ქართველ ძეთა განათლების საქმეს. მაშ ამასაც დავუგდოთ ყური:

„არსმან ყოველთა დამაარსმან მოგფინა შენ ნათელი, საყვარელო მამულო ჩემო, წიაღთა შინა შენთა ცხადათ სჩანან მრავალნი ღვაწლნი დიდთა მეფეთა შენთა, აწცა განათლდებიან ძენნი შენნი და განგიახლებენცა დროსა ძველთა ჩინებულთა შენთასა. აწ უკვე უარი არს, რათა განქვრიტო, იდიდესაწაულო და იყო დიდსა უზომსა შვებასა შინა; რამეთუ იგი შენნი ძენი განათლებულნი ღაღადებენ დიდებასა შენსა და არიან განმზადებულნი ყოველსა ჟამსა, რათა დაუყონ პირნი შენზედა ცრუ მეტყველთა“.

სამწუხაროდ ჩვენდა, სოლ. დოდაშვილის ყველა ეს წიგნები დაკარგულ იქმნა. მათი ხსენება კი არა და კვალიც არსადა სჩანს, თუმცა ს. დოდაშვილის შესახებ კავკასიის შტაბის არქივში მთელი საქმეა დარჩენილი, ანუსხულია ს. დოდაშვილის ამბები და დანაშაულობანი; ამ საქმის მიხედვით თვე შედგენილია ის ცნობები ს. დოდაშვილის შესახებ, რაც კი მოთავსებულია კავკასიის აქტების მეხუთე ტომში და რასაც ეწოდება „ზაგავორ გრუზინსკაგო დვორიანსტვა“.

ამ საქმიდამ ვიცით შემდეგი: ს. დოდაშვილის დაპატიმრების დღეს, გაჩხრიკეს მისი სახლიც და რაც კი აქ რამე ქაღალდები და წიგნები ნახეს, ყველა გაზიდეს. ამავ დღეს დაკეტეს ს. დოდაშვილის სტამბა და რაც აქ რამ ქაღალდები ნახეს, ესენიც წაიღეს; ასევე გაჩხრიკეს ს. დოდაშვილის ჟურნალ-გაზეთის რედაქცია და რაც რამ წიგნები და ქაღალდები ჰპოვეს, ან ძველი გაზეთები, ყველა წაიღეს. ს. დოდაშვილიც დააპატიმრეს და სამართალში მისცეს, როგორც დამნაშავე და ფარულ საზოგადოების შემდგენი.

მცირე ხნის შემდეგ ს. დოდაშვილის ქაღალდები, წიგნები, ხელთნაწერები და ყველა ამის გაზეთების და ჟურნალების ნომრები დასწვეს ცეცხლში. მალე გამოცა ისეთი ბრძანებაც, რომლის ძალითაც მთელს საქართველოში ყველა ქართველებს ევალებოდა, რომ სახლში თუ რამ ქართული გაზეთები გაქვსთ, ყველა დასწვით, თორემ სადაც ეს იქმნება დაცული, ის ოჯახი და მის წევრნი სამართალში მიეცემიანო.

ამ განცხადებამ გამოიწვია ის გარემოება, რომ 1837 წ. საქმისაგან შეშინებული ქართველნი სწვამდნენ ყველა ქართულ გაზეთებს და სპობდნენ. სულ ამ საქმის ბრალი გახლავთ ის გარემოებანი, რომ დღეს ქართველებში 1818, 21, 23, 24, 1828, 29, 30, 31 და 1832 წლების გამოცემათა შოვნა კი არა და ხსენებაც აღარ არის. თითო ნომერი არის მოპოვებული, ისიც დიდის წვალებით, ამ ასი წლის განმავლობაში.

ყოველივე უბედურების გარეშე სამწუხაროა დიდად ის გარემოებაც ნამეტურ, რომ ს. დოდაშვილის სამწერლო შრომაც ასე დაიკარგა და გაქრა საყოველთაოდ.

ამის მიზეზები ის გახლავსთ, რომ ს. დოდაშვილის სახლიდამ წაღებული წიგნები და ხელთნაწერები გაურჩევლად გააქრეს და დასწვეს, რაკი ისინი ს. დოდაშვილის ნაწერები იყო; მარტოდ ესეც კმაროდა თურმე მოსპობის საფუძვლათ; რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ხელთნაწერებს გარდა ერთობ ძნელი, იშვიათი საშოვნელია ს. დოდაშვილის მიერ დაბეჭდილი გაზეთების ფურცლები, ამის მიზეზიც აი რა გახლავთ.

მთავრობამ რაკი ყოველი ბოროტების მეთაურად ს. დოდაშვილი იცნა, განკარგულება მოახდინა, რომ სადაც კი ვისმეს ქართული გაზეთები ექმნეს, ყველა დაეწვათ, გაექროთ, თორემ ვისაც მას უნახავენ სახლში, იმას ისე დასჯიან, როგორც დაისაჯა თვით ს. დოდაშვილიო. ამიტომაც ქართველებში იწყეს ქართული გაზეთების და წიგნების დაწვაც კი, აღარავინ რას დასდევდა, სწვავდენ არამც თუ მარტო ს. დოდაშვილის გამოცემებს, არამედ წინანდელ ძველს ქართულ გაზეთებსაც. დაწვის საფუძვლად ერთი ისიც კმაროდა, რომ გაზეთი ქართული იყო. უეჭველია ქართულ გაზეთში მთავრობის მტრობის მეტი სხვა არა იქნება რა შთაწერილიო.

ყოველ შემთხვევაში დიდათ საინტერესოა ვიცოდეთ ამ „ფარული საზოგადოების“ მეთაურ პირთა აზრები, თუ მათ რა სურდათ ჩვენის ცხოვრებისათვის, რას აპირებდენ, რა უნდა გაეკეთებინათ ქართველთა ცხოვრებაში, ერთი სიტყვით, ვრცელი თუ არა, ამის სადა მოთხრობა მაინცაა ჩვენთვის საჭირო.

ზაქ. ჭიჭინაძე.

## წმ. აბოს დღესასწაულის გამო

პასუხი ბ-ნ ალ. მ — ლის წერილის გამო.

ამას წინად გაზეთ „საქართველოში“ № 19-ში იყო მოთავსებული წერილი აბო წმიდის დღესასწაულის შესახებ ვინმე ალ. მ—ლის ფსევდონიმით; ბ-ნი ავტორი ეხება აბო წმიდის დღესასწაულს და ბძანებს: 8 იანვარს დილის ათ საათზედ მიველ დარიის მონასტერში და წირვა უკვე გამოსული დამხვდა. და ამ დღეს არც ლიტანიით წასულა დარიის მონასტრის კრებული წმ. აბოს ნიშისკენო. ეს სიტყვები ბ-ნ ავტორისა სიმართლეს არ შეეფერება. აბოობის დღეს, ესე იგი 8 იანვარს, წირვა დაიწყო დარიის მონასტერში დილის ცხრა საათზედ, როგორც წინა დღით იყო ქართულ გაზეთებში გამოცხადებული. ამ დღეს მწირველი ბრძანდებოდა მათი მეუფება ყ-დ სამღვდელო ეპისკოპოსი ანტონი, ამავე მონასტრის კრებულით და სიონის საკათედრო ტაძრის მთავრების თანამწირველობით. წირვაზედ ხალხი ბლომად დაესწრო. წირვის განტევების შემდეგ განიცადენზედ მათმა მეუფებამ ყ-დ სამღვდელო ანტონმა სიტყვა წარმოსთქვა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო ამ დღის მნიშვნელობა, ესე იგი აბო წმ. ცხოვრება.

წირვის განტევების შემდეგ ამავე მონასტრის კრებული მგალობლებით და დამსწრე საზოგადოებითურთ შემოსილნი წესისაებრ ლიტონიით გაემართნენ წმ. აბოს ნიშისკენ. წმ. ნიშთან გადიხადეს პარაკლისი წმიდანისა, და შემდგომ ესევე კრებული შემოსილნი ლიტანიითვე გაემართნენ მონასტრისკენ *).

თბილისის სამღვდელოთა შკოლის მასწავლებელი ა. ოკროშიძე.

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ პატივი მცეთ და ეს ჩემი წერილი დაბეჭდოთ გაზეთ „საქართველოში“.

გაზეთი „საქართველოს“ 32 ნომერში (თებერვლის 10-ს) დაბეჭდილი იყო პატივცემული კოტე ყიფიანის წერილი, სადაც ის ეხება იმ მამულების გაყიდვის გარემოებას, რომელნიც დარჩა განსვენებულ მამა მის დიმიტრი ყიფიანს და რომელნიც შემდეგში, თანახმად მისის დის ელენე ყიფიანის ასულის სურვილისა, გადვიდა მისის ქმრის და ჩემის ძმის ანტონ ლორთქიფანიძის სახელზედ.

მე არ შევეხები იმ გარემოებას და არც ვიცი, რა მიზეზით გარდასცა თავისი მამული ბატონის კოტე ყიფიანის დამ ელენემ თავისს ქმარს ანტონ ლორთქიფანიძეს.

მაგრამ ბატონი კოტე ყიფიანის წერილში მოხსენებული ვარ მე და თან ისიც არის დაწერილი, რომ მე ვითომ „ის მამული მემკვიდრეობით მერგო“ და გაყიდვის შემდეგ „4 ათასი თუმანი ნაღდი ფული დამრჩა“. ამისათვის ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს შევიტანო ის გასწორება ბატონ კოტე ყიფიანის წერილში, რაც მე ვიცი და რის დამტკიცებაც საბუთებით და მოწმებით შემიძლია.

გარდაიცვალა თუ არა ჩემი ძმა ანტონ ლორთქიფანიძე 1894 წელში, მას ორი მამული დარჩა, მისი მეუღლისგან გარდაცემული გორის მაზრაში: 1) ტაშის-კარის მამული, სახელმწიფო სააზნაურო ბანკში 11100 მანეთად დაგირავებული და ზედმეტად კიდევ დაგირავებული გიორგი განძიელის სახელზედ 5000 მანეთად; და 2) ჩუმათელეთის მამული 1837 დესეტინა, რომელიც იყო დაგირავებული ჩემის ძმის ანტონ ლორთქიფანიძისგან, არა მისის ცოლის ელენეს გარდაცვალების შემდეგ, როგორც სწერს თავის წერილში ბატონი კოტე ყიფიანი, არამედ მის სიცოცხლეში და მისი თანხმობით, ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში 10000 მანეთად.

გარდა ამისა, ჩემს ძმას ანტონ ლორთქიფანიძეს დარჩა კერძო ვალები არა ნაკლები 40,000 მანეთისა და თავის მამა პაპისაგან დარჩენილი მამულები ქ. ქუთაისსა, და ქუთაისის მაზრაში დაგირავებული ჰქონდა ბანკებში და კერძო პირებთან თუ თავისა და თუ მისის მეუღლის ელენეს სახელით.

გასაკვირი არ არის ჩემს ძმის ანტონ ლორთქიფანიძისგან ამდენი ვალის დატოვება, რადგანაც განსვენებული მისი მეუღლე, ბატონი კოტე ყიფიანის და, ძლიერ ავადმყოფი ქალი იყო და ამ მიზეზის გამო ჩემის ძმის სახლში ექიმები და წამლები არასოდეს არ გამოლეულა და ბოლოს საზღვარ გარეთაც წაიყვანა ექიმების სანახავად და ამ მიზეზის გამო დიდი ვალები დარჩა.

რადგანაც მე არ მქონდა საშუალება ჩემის ძმის ვალების გარდახდისა, მემკვიდრეობა არც მაშინ მიმიღია და არც დღემდინ მაქვს მიღებული. ამისათვის სასამართლომ დანიშნა „ოპეკა“ და, რადგანაც მამულები იმ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ შემოსავალი ვალების სარგებელსაც არ აკმაყოფილებდა, ტაშის-კარის მამული გიორგი განძიელმა ასწერა, როგორც მოვალემ, და ვაჭრობის დროს დაინარჩუნა თავის სახელზედ; ხოლო მეორე მამული, ჩუმათელეთი, ქუთაისის სააზნაურო ბანკში დაგირავებული ჩემის ძმის ანტონ ლორთქიფანიძისაგან მისი მეუღლის ელენეს სურვილისამებრ 10000 მანეთად, ვიყიდე მე ბანკისგან, როგორც კერძო პირმა იმ განზრახვით, რომ ეს მამული გადამეგირავებინა სახელმწიფო ბანკში, როგორც ჩემს ძმას ჰქონდა სურვილი, და ამ საშუალებით გარდამეხადა, როგორც ჩემის ძმის, ანტონ ლორთქიფანიძის, ისე მისის მეუღლის ელენე ყიფიანის ქალის ვალები.

ვიყიდე თუ არა ეს მამული 12265 მანეთად, თავის ჯარიმიანად ქუთაისის სააზნაურო ბანკიდან, აღმოჩნდა, რომ საჭირო არის ტაქსაცია, თაიროვისაგან გამოყოფა (составленіе полюбовной сказки и раздѣлъ), პლანის აღება და სხ. პეტროგრადიდან გამოწერილი მეტყევე ჟურაკოვსკი თავის თანაშემწეებით და ოჯახობით ორი თვე სურამში ცხოვრებდენ ჩემი ხარჯით, სანამდი ტაქსაციას გააკეთებდა; ყოველ დღე ამ ორი თვის განმავლობაში ოცდა ათს მუშას მთხოვდა ჟურაკოვსკი ტყეში სამუშაოდ; თაიროვს დიდის გაჭირვებით გავეყავი და მერმედ როგორც იქმნა, მომცეს იმ მამულის პლანი; ორჯერ პეტროგრადში წასვლა დასჭირდა და დიდი ცდა იმისთვის, რომ ეს სესხი გატარებულიყო სახელმწიფო ბანკში.

ყოველივე ეს შევასრულე ერთის წლის განმავლობაში და მომცეს სესხად 52900 მანეთი, მაგრამ ამ ფულებიდან 12265 მანეთი ქუთაისის სააზნაურო ბანკმა წაიღო; 6000 მანეთად ჟურაკოვსკის ტაქსაცია, მისი ხარჯი, პეტროგრადში ორჯერ წასვლა და სხვა ამგვარი ხარჯები დამიჯდა. რადგანაც ჩემს ძმას, ანტონ ლორთქიფანიძეს, როგორც მოგახსენეთ, 40000 მანეთი კერძო ვალები დარჩა, ამისათვის იძულებული შევიქენი, რომ ჩუმათელეთის მამული გამეყიდნა და იმავე ტაქსატორ ჟურაკოვსკის საშუალებით და შუამდგომლობით ის მამული მივყიდე თავად ჯავახიშვილს, რომლისაგანაც ავიღე 8000 მანეთი.

ამგვარად, ჩუმათელეთის დაგირავების და გაყიდვის შემდეგ ავიღე 60900 მანეთი და არა 80000, როგორც ბატონი კოტე ყიფიანი სწერს თავის წერილში. ამ 60900 მანეთიდან 12965 მანეთი ქუთაისის სააზნაურო ბანკმა წაიღო, 6000 ჟურაკოვსკის ტაქსაცია და გადაგირავების ხარჯათ წაიღეს, 40000 მანეთი ჩემი ძმის ანტონ ლორთქიფანიძის კერძო ვალები, რომელშიაც მის მეუღლე ელენეს ვალებიც ერია, გარდავიხადე; 1500 მანეთი კოტე ყიფიანის ძმისწულებს, ნიკო ყიფიანის ქალიშვილებს და მათს დედას მივეცი, როდესაც მისი ქალიშვილები თბილისში სწავლობდნენ, რაის დასამტკიცებელი საბუთები მაქვს; მე მაქვს საბუთები დასამტკიცებელი ჩემი ძმის ანტონ ლორთქიფანიძის ვალების და მათს შორის მისის მეუღლის ელენეს ვალებისაც; აგრეთვე მაქვს ბანკის ანგარიშები და კიდევ ჩემი ძმის ხელნაწერი სიები, თუ ვისი ვალები ჰქონდა მას, რომელიც მე გადვიხადე. მიუხედავად ამისა, არიან ისეთი პირები, ვისი ფულებიც ემართა განსვენებულ ჩემს ძმას ანტონ ლორთქიფანიძეს და თუმც მათ არ უჩივლიათ, მაგრამ მე გადვიხადე, რადგანაც ნამდვილად ვიცოდი, რომ მათი ფული ემართა ჩემს ძმას. ყველა ეს საბუთები მე მაქვს და თუ ბატონი კოტე ყიფიანი ისურვებს, შემიძლია ვაჩვენო მას ქ. ქუთაისში.

ამ წერილით მე მსურს შევიტანო შესწორება ბატონი კოტე ყიფიანის წერილში, რომ მე ჩემის ძმის ანტონ ლორთქიფანიძისაგან მემკვიდრეობით არავითარი მამული არ მრგებია; მხოლოდ, როგორც კერძო კაცმა, ვიყიდე ჩემი ძმის მამული ქუთაისის ბანკისაგან არა იმ განზრახვით, რომ „4 ათასი თუმანი ნაღდი ფული დამრჩენოდეს“ მე, როგორც ბატონი კოტე ყიფიანი სწერს თავის წერილში, არამედ იმ მიზნით, რომ იმ მამულის სახელმწიფო ბანკში გადაგირავების საშუალებით და გაყიდვით გარდამეხადა განსვენებულ ჩემი ძმის ანტონ ლორთქიფანიძის და მისი მეუღლის, კოტე ყიფიანის დის, ელენეს ვალები.

ხვიმონ ლორთქიფანიძე.

ქ. ქუთაისი.

—

გაზ. „თანამედროვე აზრის“ 34 №-ში დასტამბულია წერილი დაბ. ხაშურიდგან, რომელსაც ხელს აწერს ვიღაც უ. ზეინკალი. ამ წერილში ნიღაბ აფარებული ავტორი, სხვათა შორის, ბრძანებს: „თქვენ მხოლოდ ცრემლებს ღვრით და წარა-მარა გაჭკვით დატანჯულ სამშობლოზე და იმავე დროს დალუპვის კარამდე მიიყვანეთ აქაური სამკითხველო, ეს ერთად ერთი დაწესებულება, სადაც მუშებს შეუძლიათ თავის სულიერი მოთხოვნილება ცოტად თუ ბევრად დაიკმაყოფილონ. ამასთანავე ფრჩხილებში დასძენს: „განა არ იცოდით, ბატონებო, რომ კოჭი ალჩუზე ყოველთვის არ დაჯდებოდა“.

ვინაიდგან ჩვენ, ქვემორე ამის ხელის მომწერელნი, ხაშურის საზოგადოების წინაშე, რომელმაც ამოგვირჩია სამკითხველოს გამგედ, ვიყავით პასუხის მგებელნი და ჩვენს თავს სრულებით საყვედურისა და გაკიცხვის ღირსად არა ვსთვლით, ვსთხოვთ ბატ. ზეინკალს პირიდამ ნიღაბი მოიხსნას და, უკეთუ რაიმე ბრალსადები საფუძვლიანი აქვს, სამედიატორო სამსჯავროში გამობრძანდეს და იქ დაგვიმტკიცოს ჩვენი უმოქმედობა და უზრუნველობა ხაშურის სამკითხველოს შესახებ. უამისოდ კი ჩვენ და, იმედი გვაქვს, სამკითხველოს წევრებიც, მის მიერ წამოყენებულ ბრალდებას ცილის წამებად ჩავთვლით.

ამასთანავე ვსთხოვთ ბატ. ზეინკალს ამ წერილის დასტამბვის დღიდამ ორი კვირის განმავლობაში აირჩიოს თავის მხრით ორი პირი სამედიატორო სამსჯავროსთვის. ჩვენი მხრით ჩვენ ავირჩევთ.

ხაშურის სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარე გ. იოსელიანი.

წევრები გამგეობისა: იოსებ ძნელაძე და ტრიფონ ჯაფარიძე.

## შემოწირულება

წარსული წლის ბოლო რიცხვებში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1. ალექსი ქარგლიშვილმა: ა) ორი ნაბეჭდი წიგნი; ბ) აყუსა და სხვა ნივთების მძივები, თუშეთის, წოვათ თემის, სოფელ წაროს ნაპოვნი აკლდამაში; გ) ნიჟარის ნატეხი (სოფელ წაროსვე ნაპოვნი).

2. აპოლონ წულაძემ: ა) ქობულეთში ნაპოვნი კარაბადინი, ხელთნაწერი და ბ) მოკითხვის წიგნი.

3. მაღალაშვილმა დიმიტრიმ: ოთხი შავი ფული (ერეკლესი ორი).

4. გუჟმუჟელმა კოტემ: ბრინჯაოს ცული.

5. თ. ივანე მაკარის ძემ ჯამბაკურიან-ორბელიანმა: ქაღალდის საჭრელი დანა, რომელიც უჩუქებია ცესარევიჩს ალექსის შემომწირველის ასულისათვის, ზედწარწერით: „Подарокъ Наслѣдника Цесаревича. 16-го февраля 1907 г.“.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის
**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

**თბილისიდამ გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, | 6.24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

## თევზის მრეწველნი
# ძმ. მეზველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის ზამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

## სუსუნატით (გონორეა)
## ავადმყოფებს,

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს“, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, ჭაჭვებისას და სხვ.

## რ ა ტ ო მ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

## იმიტომ, რომ,

ჯერ ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

მეორედ, იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.

მაგრამ ყველა ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი „ურიტალი“. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ

## ურიტალი

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთლად მოსარჩენათ ახალი ავადმყოფისათვის სჭირდება ექვსი ფლაკონი და ძველებული ათი ფლაკონი სხვა. ქვეყნებში იგზავნება 5 მანეთის ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.

За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1, напротивъ Государственнаго Банка.


*) რედაქცია სიამოვნებით უთმობს ბ-ნ ა. ოკროშიძის წერილს ადგილს და თან დიდათ სწუხს რომ როცა ბ-ნ ალ. მ—ლის წერილსა ჰბეჭდავდა, დაავიწყდა მოეხსენებინა, რომ ალ. მ—ლს აწერილი ჰქონდა შარშანდელი აბოობა, როცა მართლა თითქმის აღუნიშვნელად ჩაიარა ამ დღემ თბილისში. რედაქ.



სტამბა „ცხოვრება“ ა. კილანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4